გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9-10(239-240) 2021 წ. 1-31 მაისი ფასი 2 ლარი

ჩვენი რჩეული პარლამენტში
პარლამენტის წევრი
დავით სონღულაშვილი:

„ჩემი წილი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა!
სინოფარმის პირველი დოზა მიღებულია!
ნუ გადადებთ, თქვენი და თქვენი ახლობლების სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას!
ყველას ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ!“

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

მილოცვა

სკოლის დამთავრებას, „ბოლო ზარს“ ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს. მართალია, რთულ, მართლაც დაძაბულ, პანდემიის პირობებში მოუხდათ მათ ბოლო სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო-საალმზრდელო პროგრამის დაძლევა, მაგრამ მათ ეს შეძლეს.

გვაქვს იმედი, რომ თქვენ თქვენს მიერ არჩეულ სწორ, მართალ გზას გაჰყვებით, გააგრძელებთ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში, ან შრომით ფერხულში ჩაებმებით. ყველგან წარმატებას და გამარჯვებას გისურვებთ!

გიორგი ერგოფონაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი;
ოთარ ჩალათაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

დღეს მსოფლიოში
ომი, რომელიც აღარ უნდა განმეორდეს!

ისრაელის ქალაქებში აღარ ისმის აფეთქების ხმა. ომი შეწყდა. 11 დღიანმა ომმა მსოფლიოს მოსახლეობის „covid-19“-ის პანდემიით გამოწვეული პანიკა უფრო გაამძაფრა.

ომი დროებით შეწყდა თუ სამუდამოდ, არავინ იცის.

როგორც ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული აფსუები არ არიან აფხაზები, ისე არაბული ხალიფატის ოკუპაციათა შედეგად გადმოხვეწილი მათი შთამომავლები ვერ იქნებიან პალესტინელები. ეს ხელოვნურად შექმნილი ურთულესი პრობლემა გადაულახავ ბარიერს აჩენს და ფართო გასაქანს უხსნის შოვინიზმს. ებრაელები მთელი მსოფლიოდან ორიათასწლოვანი დევნილობიდან დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში. ასევე პალესტინასა და ღაზას სექტორში მცხოვრებთ უნდა ჰქოდეთ სამშობლოში დაბრუნების მისწრაფება და არა სხვისი ტერიტორიის მითვისების, იქ დამკვიდრებისა და ავტოხთონი მოსახლეობის წინააღმდეგ დაუოკებელი ბრძოლის განწყობილება. მათ უნდა გაიაზრონ, რომ მომთაბარეობის ეპოქები დასრულდა და თავიანთი წარმომავლობის ადგილებს დაუბრუნდნენ. მით უფრო, რომ ახლო აღმოსავლეთში არაერთი არაბული ქვეყანაა, სადაც მოახერხებენ თავის დამკვიდრებას. გადამთიელების ადგილი მთების გადაღმაა და ქედებს იქით უნდა გადავიდნენ.

ლადო ჭელიძე,
პროფესორი, საქართველოს წარმომადგენელი „ქართული ხელოვნების ცენტრი“ ისრაელში

№9-10(239-240) 2021 წელი, 1-31 მაისი

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

18 მაისი, 2021 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერი* გიორგი ერბოწონაშვილი** უძღვებოდა. თათბირს მისი მოადგილეები, მერიის სამსახურების უფროსები, განყოფილებათა გამგეები, შპს-ის და აიპ-ების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. თათბირის მონაწილეთ გიორგი ერბოწონაშვილმა მანავის თემში მუნიციპალიტეტის მერის ახალი წარმომადგენელი არჩილ ნემსიაშვილი წარუდგინა.

თათბირის დასაწყისშივე მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასა და შესრულების ხარისხზე. შემდეგ კი მერის თითოეული წარმომადგენლიდან თემებსა და სოფლებში არსებული პრობლემები კიდევ ერთხელ გამოიკითხა დაწვრილებით და შპს „საგარეჯოს" დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს მისცა კონკრეტული დავალება თითოეულ სოფელში მძიმე ტექნიკის მიერ შესასრულებელი სამუშაოებისათვის.

როგორც მერის წარმომადგენლებისაგან წარმოდგენილი ინფორმაციებიდან გაირკვა, თითქმის ყველა სოფელში არის სასოფლო გზები, რომლებიც მოითხოვენ მოხრეშვით სამუშაოების ჩატარებას.

თათბირზე დაისახა კონკრეტული გზები აქ წარმოდგენილი საკითხების, არსებული პრობლემების უმოკლეს ვადებში მოგვარებისათვის.

თათბირზე მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა ყანდაურის თემსა (ვალერი ცანკაშვილი) და სოფელ ბადიაურში (კახაბერ ჩალათაშვილი) აღნიშნული სოფლების მიწათმოქმედთა წინაშე არსებული პრობლემა – სარწყავი წყლის მათთვის მიწოდების კითხვის ნიშნის ქვეშ არსებობა წამოჭრეს. გაირკვა, რომ საგარეჯოს სერვის ცენტრის ხელმძღვანელობა უარს აცხადებს „ბებერი არხის" რეაბილიტაციაზე, რაც მნიშვნელოვან პრობლემას შეუქმნის 2021 წლის მარცვლეული კულტურებისა და ყურძნის მოსავალს

რწყვის სეზონის დაწყებამდე

რა კეთდება და რა გაკეთდება

სარწყავი წყალი ყველა აბონენტს მიეწოდება

ივნისი* *გაზაფხული. თანდათან გვიახლოვდება გარეკახელი მიწათმოქმედებისათვის მუდამ პრობლემური ზაფხული, მისთვის დამახასიათებელი გვალვებითა და სიცხეებით, რომელთანაც გასამკლავებლად ჩვენებურ გლეხკაცებსა და ფერმერებს ერთადერთი, მაგრამ საიმედო და ნაცადი დამხმარე ჰყავთ – ქვემო სამგორის სერვის-ცენტრი, თავისი საირიგაციო სისტემებით. შარშან, 2020 წლის სარწყავ სეზონზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სერვის ცენტრის მიერ მოირწყა 6571,9 ჰექტარი მიწის სავარგული, მათ შორის 2747,41 ჰა მარცვლოვანი კულტურები, კაკლოვანები – 2218,11 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 1420 ჰა, ბოსტნეულ-ბაღჩეული – 109,62 ჰა, კენკროვანები – 37,9ჰა, თესლოვან-კურკოვანი კულტურები –37,9 ჰა-ზე.

***მართალია, ძნელია თავდაპირველ დაგეგმილ საპროექტო სიმძლავრეზე გასარწყავების მიღწევა, მაგრამ სერვის ცენტრი და მათი ხელმძღვანელობა, საკუთარი ძალებითა თუ სხვადასხვა უცხოური დაფინანსებით ყოველწლიურად ატარებს გარკვეულ სამუშაოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უფრო მეტი ფართობების გასარწყავებისათვის. თუ რა კეთდება ამ კუთხით მიმდინარე წლის სარწყავი სეზონის დასაწყებად, გვესაუბრება სერვის ცენტრის დირექტორი* ბვანცა დარისპანაშვილი.**

– მიმდინარე წლის რწყვის სეზონის დაწყებისთვის სამზადისი სერვის ცენტრმა ჯერ კიდევ ადრიდანვე დაიწყო, – ***გვითხრა მან***, – როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მაგისტრალურ არხებზე გარემონტდა გამშვები ფარები. სოფელ ჩაილურსა და სოფელ კაკაბეთში გარემონტდა 27-ე და 30-ე გამანაწილებლები. სოფელ კაკაბეთში მოეწყო ახალი დახურული ქსელი, რომელიც დამატებით მოემსახურება 250 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის გასარწყავებას.

– გაიწმინდა და მოეწყო პატარძეულის სარწყავი არხის სათავე.

– ხაშმის ლოკალურ სარწყავ სისტემაზე ჩატარდა წმენდითი სამუშაოები, მოეწყო სარეგულაციო კვანძები.

ასევე, სოფლებში

– მანავსა და მზისგულში გაიწმინდა და მოწესრიგდა კოლექტორები.

– მსოფლიო ბანკის დაფინანსებით კიდევ თუ გრძელდება მაგისტრალური არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები?

– მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის შიდა ქსელის რეაბილიტაცია, №1 გამშვებიდან 32-ე გამანაწილებლის ჩათვლით. ეწყობა პირველი და მეორე რიგის გამანაწილებლები დახურული ქსელით, რომლის სიგრძე 128 კილომეტრია. დამონტაჟდება ჰიდრანტები. პროექტის ღირებულება 26 მილიონი ლარია. შედეგად – სარწყავი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება 5000 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ეს პროექტი 2020 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

– როდის იწყება რწყვის სეზონი?

– რწყვის სეზონი აქტიურ ფაზაში ივნისიდან შევა. ამ ეტაპისათვის მხოლოდ მრავალწლიანი ნარგავები ირწყვება.

– როგორი იქნება სარწყავ წყალზე წლევანდელი გადასახადი? შარშანდელის მსგავსად ხომ არ არის მოსალოდნელი გადასახადებზე შეღავათები?

– სარწყავ წყალზე ტარიფი უცვლელია – 1 ჰა – 75 ლარი. მომსახურების მისაღებად აბონენტმა უნდა მიმართოს სერვის ცენტრს და გააკეთოს განაცხადი. განცხადებების მიღების პროცესი უკვე დაწყებულია და მსურველებს ნებისმიერ სამუშაო დროს შეუძლიათ მოგვმართონ სერვის ცენტრში.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

P.S. ***მუნიციპალიტეტის მერიის 18 მაისის სამშაბათის ტრადიციულ თათბირზე სოფელ ყანდაურასა და ბადიაურში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა განცხადება, რომ ქვემო სამგორის სერვის ცენტრის ხელმძღვანელობა უარს აცხადებს მათი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სავარგულების სარწყავ ე.წ. „ბებერი არხის" შეკეთებაზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით სერვის ცენტრის მთავარ ინჟინერს* დიმიტრი მჭედლიშვილს*, რომელმაც აღნიშნულის შესახებ გვაცნობა, რომ ხსენებული არხი კუსტარულია, რის გამოც ადგილი აქვს დიდი რაოდენობით სარწყავი წყლის ფილტრაციას (გაჟონვას). ამის შედეგად იტბორება და ჭაობდება მიმდებარე ტერიტორიები, რაც დამატებით პრობლემებს უქმნის როგორც ამ მიწების მეპატრონეთ, ისე სერვის ცენტრის ხელმძღვანელობას. ამის გათვალისწინებით, სერვის ცენტრში დაწყებულია 34-ე და 37-ე გამანაწილებლების რემონტი, საიდანაც რწყვის სეზონზე „ბებერი არხის" ნაცვლად წყალს მიაწვდიან აბონენტებს.***

კახეთის მხარეში

რეგიონების ურბანული განახლებისათვის

პრემიერ მინისტრის ინიციატივით დაწყებული ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში დაიწყო.

კომისიის სხდომა ქალაქ თელავში კახეთის რეგიონისთვის გაიმართა. სხდომას ***რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი* ირაკლი ძარსელაძე**, ***მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული* ირაკლი შიოშვილი**, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები და რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

თითოეული მუნიციპალიტეტის მერმა, პრეზენტაციის სახით, კომისიის სხდომაზე საპროექტო წინადადებები წარადგინა.

კომისიამ შეარჩია ის არეალები, რომელთა ურბანული განახლების პროექტების/ესკიზების წარმოდგენა გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებს დაევალებათ.

4 წლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროექტები განხორციელდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.

ნუ მივივიწყებთ და ნუ დავკარგავთ სახელებს

ღვაწლი, რომელიც დღესაც გვახსენებს თავს

12 აპრილს ღმერთმა გარეჯის მიწას ორი დიდი ადამიანი მოუვლინა – ჭიდაობაში მსოფლიოს ლეგენდა, 18 გზის სსრკ, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი **არსენ მეკოკიშვილი** და საგარეჯოსა თუ მთლიანად კახეთის, ყოველივე ქართულის გუშემატკივარი და მამულიშვილი **მედეა მეზვრიშვილი**. მათგან , თუ არსენა თავისი მკლავით მსოფლიო საჭიდაო ხალიჩებს „იპყრობდა" და ქართველი კაცის სახელს საქვეყნოდ განადიდებდა, ქნი მედეა სიყრმიდან სიცოცხლის

ბოლო წუთებამდე, აქ, კახეთის მადლიან მიწაზე უღალატო გლეხკაცივით ირჯებოდა და იხარჯებოდა კახეთისა და მშობლიური საგარეჯოს წინსვლისა და აღორძინებისათვის.

პირველ საქვეყნო საქმეს მოსწავლეობის დროს შეეჭიდა – სკოლის კომკავშირის მდივანი სიცხესა და პაპანაქებაში, გარეჯის თვალუწვდენელ მინდვრებში დაუძღვებოდა თანატოლებს მეორე მსოფლიო ომში წასული დაჭრილი მეომრებისათვის კაპუეტა ბალახისა და „სისხლის სადედის" (ლ. სანიკიძე) შესაგროვებლად.

ისტორიამ შემოგვინახა 1958 წელს საქართველოს კომკავშირის ყრილობაზე საბჭოეთის სინამდვილეში მისი – თელავის

დასასრული მე-8 გვერდზე

ნლეაბი – ჩემი სიმდიდრე

იუბილე _ 70

როცა ორი სამშობლო გაქვს და ორივე გიყვარს

საქართველოში, *მამა-პაპის კერაზე, სოფელ თულარში დაიბადა ვარდობის თვეს. ამ დროს სხვანაირი ელფერი აქვს ცას, სხვანაირ სილამაზეს, სიკეკლუცეს იძენს ბუნება ველად გაშლილი ყაყაჩოებით, აფერადებული ლამაზ-ლამაზი ყვავილებით. დედა დიასახლისი იყო, მამა – მწყემსი, მშრომელი, მრავალშვილიანი (5 ბიჭი და 3 ქალი) ოჯახი შვილების აღზრდასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა მათთვის განათლების მიღებასაც. იმის გამო, რომ იმ პერიოდში სკოლაში სწავლება მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე იყო, უმრავლესობა სასწავლებლად ან აზერბაიჯანში, ან რუსეთში მიდიოდა.. 1968 წელს დაამთავრა იორმუღანლოს საშუალო სკოლა თულარელმა* **აღაბალი ხეირხაბაროვმა** *და იმავე წელს სწავლა აზერბაიჯანის ქ. განჯის პედინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე გააგრძელა, რომელიც წარჩინებით 1972 წელს დაამთავრა და ქიმიის პედაგოგის კვალიფიკაციით დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას. 1972 წლის 1 სექტემბერს იორმუღანლოს საშუალო სკოლის კარები შეაღო როგორც პედაგოგმა. მისთვის მშობლიური გარემო იყო პედკოლექტივი, სკოლა, სკოლის მოსწავლეებიც ახსოვდა. მართლაც არ უნდა გასჭირვებოდა პედაგოგობის პირველი ეტაპი, მაგრამ...*

– მასწავლებლობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, ამისრულდა კიდეც, დავიწყე მუშაობა, მაგრამ იმ ჩვეულებრივმა პრობლემამ იჩინა თავი, რომელსაც ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაურჩება – ***დიმილით იხსენებეს ახლა ბატონი აღაბალი,*** – გარეგნულ;ად ცოტა ტანმორჩილი ვიყავი, მოგეხსენებათ, ქიმია მაღალ კლასებში ისწავლება, იმ მაღალ კლასებში კი ჩემზე მაღალი ბიჭები სწავლობდნენ, უკვე დიდბიჭობაზე რომ სდებენ თავს და ჯიბით იარაღს – დანასაც დაატარებენ. არასდროს მჭერია თვალი ასეთი რამეებისკენ, მოწესრიგებული, მკაცრი და მომთხოვნი ვიყავი ჩემი თავის მიმართ სკოლაშიც და ინსტიტუტშიც და ამასვე ვითხოვდი ჩემი მოსწავლეებისგან. მართალია, გვქონდა პატარ-პატარა კამათი, ე.წ. „გარჩევები", მაგრამ იმ „მაგარი ბიჭებიდან" ყველა დამიმეგობრდა, მეგობრულ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი ასევე მათ მშობლებთან, ჩემს კოლეგა, ჩემს ყოფილ მასწავლებლებთან. 1976 წელს დამნიშნეს იმავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ათი წლის შემდეგ კი გადამიყვანეს სოფელ ლამბალოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, 1995 წლიდან კი ლამბალოს საშუალო სკოლის დირექტორად.

სხვადასხვა მიზეზის გამო დირექტორის პოსტი 2012 წელს დავტოვე.

– ბ-ნო აღაბალი, თქვენ კარგად ფლობთ ქართულ ენას, როგორ შეისწავლეთ?

– როცა სკოლაში ვსწავლობდი, მართალია, იქ ქართული სექტორი არ იყო, მაგრამ მაინტერესებდა, რადგან საქართველოში ვცხოვრობდი, შემესწავლა მისი სახელმწიფო ენა. ეს აუცილებელი იყო ჩემი საზოგადოებასთან ურთიერთობისთვისაც. შემდეგ კი, როცა პედაგოგად დავიწყე მუშაობა, ბევრი ქართველი გავიცანი – პედაგოგი, მოსწავლე, ჩვეულებრივი მოქალაქეები, დავუმეგობრდი მათ და ყველანაირად ვეცადე, შემესწავლა ქართული ენა და ამასვე ვურჩევდი ჩვენს მოსწავლეებსაც. მე დღეს ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავს, რომლებიც ერთი მეორეზე უკეთესები, სანდო და კეთილი ადამიანები არიან. იცით, მიჭირს ახლა პერსონალურად მათი დასახელება, შეიძლება ვინმე გამომრჩეს, რადგან ძალიან დიდი სიაა, მაგრამ შევეცდები, ჩემი უახლოესი მეგობრები გაგაცნოთ, რომლებიც მხოლოდ განათლების სფეროდან არ შემოიძენია, რომლებთანაც გაცნობის დღიდან ნამდვილად მეგობრული დამოკიდებულება მაქვს: ლექსო არაბული, ემზარ გორგილაძე, ძაგული მათიაშვილი, არჩილ ჯაბადარი, რამაზ და პაატა ბუზარიაშვილები... ისინი ბევრი არიან, ყოველწლიურად, ყოველ დროს ფართოვდება ჩემი სამეგობრო წრე. გული მწყდება, რომ იმქვეყნად ნაადრევად წავიდნენ ჩემი სამეგობროდან კუკური შალვაშვილი და მაგული მათიაშვილი. წლების მანძილზე ჩვენს სკოლას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული საგარეჯოს II, მანავის საშუალო სკოლების მოსწავლეებთან. მათ დირექტორებთან მიხდებოდა ხშირი შეხვედრები ჩვენი სკოლების მეგობრობის განსამტკიცებლად. კარგად მახსენდება რაიონის განათლების განყოფილების ყველა უფროსი, რაიონის ყველა საშუალო სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგეები, პედაგოგები... ჩვენ ხომ ერთი ოჯახი ვიყავით და ერთ საქმეს ვემსახურებოდით – რაიონის ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებას. ამიტომაც იყო, რომ ლამბალოს სკოლა ჩემი დირექტორობის დროს მხოლოდ საშუალო და შემდეგ საჯარო სკოლა არ ყოფილა, ეს იყო მეგობრობის დიდი ცენტრი. ჩვენ, გარდა რაიონის საშუალო სკოლებისა (საგარეჯოს II, III, IV, მანავის) მეგობრული კავშირი გვქონდა ქუთაისის, თბილისის, თურქეთის ქალაქების იზმირის, არზრუმის საშუალო სკოლებთან. ჩვენი სკოლა წლების მანძილზე მასპინძლობდა საპატიო სტუმრებს, მათ შორის ჩვენ ვუმასპინძლეთ და ჩვენი საქმიანობა გავაცანით საქართველოს განათლების მაშინდელ მინისტრს თამაზ კვაჭანტირაძეს, ქართული ენის პალატის თავმჯდომარეს ლევან ღვინჯილიას, კახეთის ყოფილ გუბერნატორებს არსენიშვილს, ცისკარიშვილს, აზერბაიჯანის ელჩს საქართველოში ჰაჯან გაჯიევს.

– რამდენი შვილი გყავთ, ბატონო აღაბალი და როგორ ფიქრობთ, როგორ თვლით, თქვენ ორი სამშობლო გაქვთ?

– მე ორი ვაჟი მყავს. უფროსმა შვილმა პოლიციის აკადემია დაამთავრა, ცხოვრობს ბაქოში და დასაქმებულია კერძო სექტორში. მეორე შვილი სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მესამე კურსიდან მიატოვა, წავიდა მოსკოვში და ისიც კერძო სექტორშია დასაქმებული. ორივე ცოლ-შვილიანია, მყავს 5 შვილიშვილი. მართალია, ისინი სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ, მაგრამ როგორც ჩემთვის, ისე მათთვისაც, საქართველო არის ჩვენი სამშობლო. აზერბაიჯანის რესპუბლიკა კი არა მარტო ჩემთვის, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა აზერბაიჯანელისათვის არის მეორე სამშობლო, იმიტომ, რომ ჩვენი წინაპრები აზერბაიჯანიდან ჩამოვიდნენ საქართველოში, ჩვენ კი, ჩემი თაობაც და ჩემი შვილების თაობაც აქ დავიბადეთ, გავიზარდეთ, ვცხოვრობთ. ძალიან მინდა, რომ ჩემი ორივე მშობელი ქვეყანა კარგად იყოს, ეს ჩემი ოცნებაა. ჩვენ აზერბაიჯანთან ჩვენი ნათესავები გვაკავშირებენ, რომლებიც იქ ცხოვრობენ და ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ, ერთი რელიგია გვაქვს...

ჩემი დედ-მამიშვილებიდან ერთ-ერთი ძმა – მეღვინე ქალაქ განჯაში ცხოვრობს, ერთი ძმა – სოფელში ცხოვრობს აქ, ერთიც მოსკოვში. უფროსი ძმა ვეტერინარი იყო, 1992 წელს გარდაიცვალა.

– თქვენ მაისში 70 წელი შეგისრულდათ. თქვენს იუბილეს, ვიცი, რომ საკმაოდ „ხელდამშვენებული" შეხვდით ამ თარიღს – ჯერ კიდევ კომუნისტების დროს არ თმობდით მოწინავე პოზიციებს, ასე გაგრძელდა შემდგომ წლებშიც. სულ ახლახანაც სასიხარულო იყო სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია თქვენი ახალი, მორიგი ჯილდოს შესახებ...

– დიახ. თქვენი თქმისა არ იყოს, იმის გამო, რომ ვიყავი აქტიური და შესაბამისად მოწინავე სკოლის აქტიური და მოწინავე ხელმძღვანელი, 1986 წელს სსრკ განათლების მინისტრის მიერ მივიღე განათლების დარგში საპატიო დიპლომი. ამავე წელს არჩეული ვიყავი საქართველოს რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატად. ორჯერ დამაჯილდოვეს ჯერ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, შემდეგ კი კახეთის განათლების სამმართველოს მიერ ფულადი ჯილდოთი, არაერთხელ საპატიო სიგელით, 2003 წელს კი – „ღირსების ორდენით" 2006 წელს გამოცხადებულ მასწავლებელთა კონკურსში „პრეზიდენტის სტიპენდიანტი", 6 კანდიდატიდან ყველაზე მაღალი ქულა დავაგროვე, პირველი ადგილი დავიკავე და გავხდი „პრეზიდენტის სტიპენდიანტი". 2017 წელს ამირჩიეს საგარეჯოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უხუცესთა საბჭოს წევრად და ამავე დროს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელების უხუცესთა საბჭოს აღმასკომის წევრად.

სულ ახლახანს კი დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების განათლების დარგში წლების მანძილზე გაწეული მეგობრულ ურთიერთობაში გარკვეული წვლილის შეტანისათვის აზერბაიჯანის განათლების ცენტრის მიერ დამაჯილდოვეს საპატიო დიპლომით, ასევე „აბდულა შაიკის" სახელობის პრემიით, ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ წლის განათლებული ადამიანის წოდებით, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კონკურსის მიერ საპატიო სიგელით.

– ბ-ნო აღაბალი, თქვენ ლექსებს წერთ. თქვენი ლექსების კრებული ხომ არ გამოცემულა. თუ გაქვთ ლექსები თქვენს მშობლიურ ქვეყნებზე?

– ჩემი ლექსების კრებული, როგორც ასეთი, არ მაქვს გამოცემული. ისე, იბეჭდებოდა ხოლმე გაზეთებში, იყო „მაცნეშიც", რამდენიმე ითარგმნა კიდეც ქართულ ენაზე. ჩემი გულიც და ჩემი ლექსებიც ხომ ორივე ჩემს სამშობლოს ეკუთვნის ისედაც.

ესაუბრა **თინა ილაური**

ჯანმრთელობა

ბრძოლის წინა ხაზზე

ის, ვინც ჯარისკაცია დღეს...

ნუ მიაქცევთ ყურადღებას დაღლილ თვალებს... ნუ შეგვიცოდებთ ... უბრალოდ ილოცეთ ჩვენთვის ... ჩვენ ვასრულებთ ჩვენს ვალს და ეს ჩვენი მოვალეობაა... არავის დაუძალებია ... დღეს თითოეული ექიმი 21-ე საუკუნის გმირი ჯარისკაცია... ნუ გაბრაზდებით ექიმზე ... ილოცეთ მასზე ... ჩვენც ადამიანები ვართ ... დილით უთენია შედიხარ წითელ ზონაში ,გველოდებიან იმედის თვალებით, ბედნიერი ხარ, რომ წერ გამოჯანმრთელებულ პაციენტს... ვერ სადილობთ, ვერ სვამთ ყავას ... მაგრამ ეს ჩვენი ვალია ... ნუ გაბრაზდებით... ილოცეთ ჩვენზე ... იცით, რა რთულია, როცა ღამე დედის იავნანასავით სარეანიმაციო აპარატების პიპინით იძინებ ... ან ვერ იძინებ და თვალებდახუჭული ლოცულობ პაციენტებზე ... გაღვიძებს მაღვიძარას ნაცვლად სუნთქვის აპარატის პიპინი ყურში ... ილოცეთ ჩვენზე ...

შეძლებისდაგვარად თქვენთან ვართ...

ერთად დავამარცხებთ!

გისურვებთ გამძლეობას!

პოსტი სოციალური ქსელიდან

შპს საგარეჯოს „ჯეო-ჰოსპიტალს“-ში

ექიმის დღიურიდან

კარგი ტრადიციების რა გითხრათ, მაგრამ ჩვენი პომპეზური წვეულებების ტრფიალისადმი მსოფლიო პანდემიაც უძლური რომ აღმოჩნდა, ალბათ დამეთანხმებით.ისე ლელო ყოველთვის გაგვაქვს ქართველებს და მაინცდამაინც არც პანდემია გვაშინებს... ,აი, მაგალითებიც: 7-8 დღის წინ საგარეჯოში 3 ისეთი მამა-პაპური სუფრა გაიშალა, სულო და გულო, უკეთეს ვერაფერს ინატრებდა კაცი. მერე რა მუსიკა, რა სადღეგრძელოები, ერთმანეთის კაკალ-გულში ჩახუტება, გადაპატიჟება სამეზობლოში , თუ ოჯახებში... სიმღერის და მუსიკის ხმამ ხომ ახლომდებარე სოფლებამდე ჩააღწია და იქაც გაგრძელდა ლხინი, იგივე მუსიკოსებით და ჯიგრიანი ძმაკაცებით დამშვენებული. მე 3-ე დღეა მოქეიფეებმა საგარეჯოს „ჯეო.



ჰოსპიტალსის „ კოვიდ ცენტრში „გადმოინაცვლეს„,თუმც ამჟამად არცერთს აღარ ემღერება და ქეიფის მუღამიც კოვიდ ქიმერის მიღმა დარჩა...მაგრამ რას იზავ?!.

ვზივარ და ვნატრობ: ნეტავი სხვისი ლხინის ამბავი აღარ გამაგებინა, ჩემთან მოსულ სტუმარს როგორღაც მოვუვლი და გავისტუმრებ იმ კარგი ტრადიციის და ახალი ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით....რა ვიცი, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!„...

ლეილა ოტიაშვილი,

შპს „საგარეჯოს „ჯეო-ჰოსპიტალსის“ covid-ცენტრის უფროსი

P.S. იანვრიდან 20 მაისის ჩათვლით კოვიდ ცენტრში 300-მა კოვიდ პაციენტმა იმკურნალა. „covid-19“-ის პანდემიის დაწყებიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 1737 კოვიდინფიცირებულია აღრიცხული.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, იანვრიდან 27 მაისამდე აღრიცხულია 763 კოვიდინფიცირებული.

გაუფრთხილდეთ საკუთარ და ირგვლივმყოფელთა ჯანმრთელობას, დავიცვათ რეგულაციები და პირადი ჰიგიენა.

ექიმის საუბარი

მულტისისტემური ანთებითი სინდრომი

„კოვიდ-19“ ცხოვრების უსერიოზულესი გამოწვევაა,მან მნიშვნელოვნად შეგვიცვალა ყოველდღიური ყოფა- შეგვიზღუდა შეკრებები, მოგზაურობა, პირბადე ჩვენი ყოველდღიურობის მნიშვნელოვან ატრიბუტად აქცია.

კოვიდ-19-ზე ბევრი რამ გავიგეთ, თუმცა ის ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია და ყოველდღიურად უამრავი ახალი კვლევის პასუხი იდება, მისთვის დამახასიათებელი სიმპტომები კარგად ნაცნობია- ცხელება, ართრალგია-სახსრების ტკივილი, მიალგია-კუნთების ტკივილი, ხველა, ყელის ტკივილი, ანოსმია- ყნოსვის დაკარგვა, დიარეა, ცეფალგია-თავის ტკივილი და სხვ.

მინდა ყურადღება გავამახვილო მულტისისტემურ ანთებით სინდრომზე, რომელმაც შესაძლოა თავი იჩინოს კოვიდ-ინფექციის გადატანიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ძირითადად პედიატრიულ კონტინგენტში, თუმცა აღწერილია შემთხვევები მოზრდილებშიც,

პირველი პუბლიკაცია ამ სინდრომის შესახებ გამოქვეყნდა 2020 წლის მაისში დიდ ბრიტანეთში, სადაც აღწერილი იყო რვა კოვიდგადატანილი პედიატრიული პაციენტი, რომელთაც აღენიშნებოდათ მაღალი ცხელება, გამონაყარი, კონიუნქტივიტი, პერიფერიული შეშუპება და სიმპტომები კუჭ-ნაწლავის მხრივ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით აღნიშნული მდგომარეობას ორგანიზმის დაგვიანებული იმუნური პასუხი იწვევს.

მულტისისტემური ანთებითი სინდრომის კლინიკური ნიშნები მრავალფეროვანია:

- მუდმივი ცხელება- 38 და მეტი
- კუჭ-ნაწლავის სიმპტომები(მუცლის ტკივილი, ღებინება, დიარეა)
- კანზე გამონაყარი.
- კონიუნქტივიტი.
- ნეოკოგნიტური სიმპტომები (თავის ტკივილი,ძილიანობა, ცნობიერების შეცვლა)
- რესპირატორული სიმპტომატიკა,(სურდო, ცხვირით სუნთქვის გაძნელება)
- ყელის ტკივილი
- მიალგია ანუ კუნთების ტკივილი
- კიდურების შეშუპება
- ლიმფადენოპათია-ზედაპირული ლიმფური ჯირკვლების გადიდება

თუ აღნიშნული სიმპტომები გახანგრძლივდა კოვიდის გადატანის შემდეგ, მაქსიმალური ყურადღება მართებს როგორც მშობელს, ისე სამედიცინო პერსონალს, რათა დროულად იქნეს მიტანილი ეჭვი აღნიშნულ სინდრომზე, დაისვას დიაგნოზი და ჩატარდეს კომპლექსური მკურნალობაბა.

გისურვებთ ჯანმრთელობას

სოფო თულაშვილი,
ოჯახის ექიმი

ჩვენებური წარმატებული

ის ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეს იცავს

შინაგან სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ შარაძე, სასაზღვრო ავიაციის დღესთან დაკავშირებით, სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს შეხვდა და პროფესიული დღე მიულოცა.

პოლკოვნიკმა ნიკოლოზ შარაძემ ყურადღება სასაზღვრო ავიაციის ოპერაციული შესაძლებლობების განვითარებაზე გაამახვილა და პირად შემადგენლობას კეთილსინდისიერი სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ავიაციის 6 წარმომადგენელი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებებისთვის დააჯილდოვა. მათ შორის, 2 თანამშრომელი სასაზღვრო პოლიციის სამკერდე ნიშნით “უმწიკვლო სამსახურისათვის” დაჯილდოვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ავიაცია აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, ასრულებს რეისებს მესაზღვრეების როტაციისთვის, ასევე, მონაწილეობს საგანგებო სიტუაციით (მათ შორის, სტიქიური უბედურება, ხანძარი) გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში.

2020 წლის განმავლობაში, სასაზღვრო ავიაციამ მონაწილეობა მიიღო 21 სამაშველო ოპერაციასა და 24 სახანძრო დავალებაში. ადამიანების გადასარჩენად მფრინავებმა 65 საათზე მეტი, ხოლო ხანძრების ჩასაქრობად 218 საათზე მეტი იფრინეს.

ეს საამაყო ახალგაზრდა ***გიორგიწმინდელი მფრინავი, 2008 წლის ომის მონაწილე, , ჩვენი საამაყო* სოლომონ გორელაშვილია-** გიორგიწმინდაშივე წმიდა ბერი გაბრიელის სახელობის ტაძრის აღმშენებელი.

სოლომონ, გილოცავთ, კვლავაც წარმატებები, იხარე შენს საყვარელ ოჯახთან ერთად!

ტყიბულის მაცნე

12 მაისი მეხანძრე-მაშველთა პროფესიული დღეა!

მადლიანი, ვაჟკაცური საქმის საგარეჯოელი მსახურები



ზაქარია ოტიაშვილი

საქართველოს შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო განყოფილება (უფროსი სამოქალაქო უსაფრთხოების კაპიტანი ზაქარია ოტიაშვილი, მოადგილე – უფროსი ლეიტენანტი გიორგი შიოშვილი) ჩვენი ყოველდღიური მშვიდობიანი ცხოვრების ის აუცილებელი სამსახურია, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა თუ ქონების ხანძრებისა და სხვა მავნე სიტუაციებისაგან დაცვას უზრუნველყოფს. ვინ მოთვლის, დღიდან დაარსებისა, რამდენი ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება უხსნიათ ძნელბედობისა და განსაცდელისაგან. ამ ღვაწლმოსილი, ვაჟკაცური სამსახურის მუშაკებს, რომლებიც დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მთელი 24 საათის განმავლობაში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან – 112-ის ზარზე ზემდგომი დეპარტამენტიდან მიღებული შეტყობინების მისამართზე გასასვლელად და სათანადო რეაგირების მოსახდენად. აქ სიტყვა საბრძოლო ტყუილად არ გვიხსენებია. ყოველი მათი შემთხვევის ადგილზე, ეს მართლაცდა ბრძოლაა გამძვინვარებული ხანძრის სტიქიასთან ანდა სხვა ძნელბედობაში ჩავარდნილთა დასახმარებლად თუ გადასარჩენად, რომლის დროსაც მეხანძრე-მაშველები საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად იბრძვიან.

სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, სათანადო ეკიპირებით დამხვდნენ განყოფილებაში მისულს სამსახურის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი გიორგი შიოშვილი, ოცეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ზურაბ სამუნაშვილი, იმდღევანდელი ცვლის მეხანძრე-მაშველები, როცა მათი ტრადიციული მეხანძრე-მაშველების დღისადმი მიძღვნილი სტატისათვის მასალების მოსამზადებლად ვეწვიე.

ზემოხსენებულ ხელმძღვანელებთან ერთად ამ დღის ცვლაში იმყოფებოდნენ გათვლის უფროსი სერჟანტი ივანე ქვრივიშვილი, მეხანძრე-მაშველები: ლაშა სტეფანიშვილი, , დავით ხატიაშვილი, ივანე კონიაშვილი, მძღოლები ზურამ ალექსაშვილი და შალვა გორელაშვილი.

– ამ ბოლო ხანებში, რაც მსოფლიოს ახალი განსაცდელი კორონა ვირუსის პანდემია დაატყდა თავს, მეხანძრე-მაშველებს ერთი არაოფიციალური მოვალეობაც დაგვეკისრა – პანდემიის უჩინარ ხანძართან ბრძოლა, ამიტომ ჩვენს ეკიპირებაში ახალი აუცილებელი ატრიბუტიკა – პირბადეებიც გაჩნდა. და ყოველნაირად ვცდილობთ ამ გამოწვევასაც გავუძლვეთ,– მეუბნება ***განყოფილების უფროსის მოადგილე.*** –მიუხედავად საშიშროებისა, განყოფილების მუშაკთა განწყობა კვლავ მაღალია და ისინი ყოველ წუთს მზად არიან თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად. საამისოდ განყოფილებაში შექმნილია თითქმის ყველა სათანადო პირობა, როგორც ზემდგომების, ისე ჩვენი ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან. რეგულარულად ტარდება მეხანძრე-მაშველების თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული დონის ამაღლებას. ჩვენი ოპერატიული მუშაობის გაუმჯობესებას მეტად შეუწყო ხელი ახალი უცხოური წარმოების 5 ტონა წყლის ტევადობის სახანძრო ავტომანქანის გადმოცემამ. ამას გარდა, გვყავს კიდევ ორი სხვა ავტოსახანძრო მანქანა, რომლებიც მართალია, მოძველებულია, მაგრამ სრულ წესრიგში იმყოფებიან და ხშირადაც ვიყენებთ ხანძრების დროს. გვყავს ასევე 2016 წელს გადმოცემული სამაშველო პიკაპი და სხვა.

– რა შედეგებით ხვდებით საგარეჯოელი მეხანძრე-მაშველები თქვენს პროფესიულ დღეს და რა სახის სახანძრო-სამაშველო სამუშაოების შესრულება მოგიწიათ წლის დასაწყისიდან დღევანდლამდე განვლილ პერიოდში?

– წლის დასაწყისიდან დღევანდლამდე არ ყოფილა ისეთი პრეცენდენტი, რომ ჩვენი განყოფილების მუშაკებს დაგვიანებით, ან არ მოეხდინათ სათანადო რეაგირება ჩვენთან შემოსულ შეტყობინებებზე. სულ კი მოგვიხდა 90 ხანძარსა და 80 სამაშველო სამუშაოზე გასვლა. ხანძრების შემთხვევებიდან უმეტესობა ტყისა და მინდვრის ხანძრებს შეეხებოდა, იყო ელექტროსადენების გამო მრიცხველების წაკიდების, ასევე სახლების ხანძრების შემთხვევები საგარეჯოს გალმაუბანში, მანავში იანვარში იწვებოდა მოქალაქე გიორგი გამსახურდიას სასტუმრო. 27 იანვარს სოფელ სასადილოში ხანძარი გაუჩნდა მანანა მაყაშვილის სახლს და ა.შ. ჩვენი მუშაკების ოპერატიული მოქმედებით ეს ხანძრები დროულად იქნა ლოკალიზებული და ლიკვიდირებული, რითაც მინიმუმამდე იქნა შემცირებული ხანძრებისაგან მიყენებული ზიანი.

თებერვალში მოგვიწია ბადიაურში საწყობის ხანძრის ჩაქრობა და აქაც შევძელით დროულად მოგვეხდინა მისი ლიკვიდაცია. იმავე თვეში თვალთხევის მიდამოებში ავტოავარიის შედეგად დაზიანებული ავტომანქანიდან ხალხის გამოყვანა. ასევე, ს. პალდოში „სუბარუს“ მარკის ავტომანქანიდან ამოვიყვანეთ და ვიხსენით მგზავრები, რომლებიც ხეზე შეჯახების შედეგად ხრამში იყვნენ გადაჩეხილები და სხვა , რომელთა ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანს.

– ვინ არიან თქვენი განყოფილების საუკეთესო, გამორჩეული მეხანძრე-მაშველები?

– აქ ვინმე მეხანძრე-მაშველის გამოყოფა და უპირატესობის მინიჭება ცოტა არ იყოს უხერხული იქნებოდა, რადგან ყოველი სახანძრო თუ სამაშველო სამუშაოების დროს ყველა მათგანი პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ საქმეს და ერთნაირად ცდილობენ მათზე დაკისრებული მთავარი მისიიის შესასრულებლად – ადამიანების ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად. აქ არ აქვს მნიშ-

ვნელობა, სტაჟიანი მეხანძრე-მაშველია, თუ შედარებით გვიან მოსული.

– ვინ არიან, როგორც თქვენ ახსენეთ განყოფილების სტაჟიანი მუშაკები?

– სადღეისოდ განყოფილებაში ყველაზე სტაჟიანი ბეჟან ილაური, რომელიც აქ 1989 წლიდან მუშაობს. ზაურ ხატიაშვილი მუშაობს 1992 წლიდან. ასევე, დიდი ხანია განყოფილებაში ვმსახურობთ განყოფილების უფროსი ზაქარია ოტიაშვილი, იმედა ბაბაკიშვილი, პირადად მე და სხვები, თუმცა, როგორც წეღან აღვნიშნე, როცა საქმე მოითხოვს, ძველსა და ახალ მუშაკებს შორის გარჩევა არ არის.

– დღევანდელი ცვლის უფროსის შესახებ რას იტყვით?

– ზურაბ სამუნაშვილი უკვე 6 წელია საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურში მუშაობს. მისი მამა-პაპა მარიამჯვრელები არიან, თუმცა ახლა საგარეჯოში ცხოვრობს. 1984 წელს დაამთავრა საგარეჯოს IV საშუალო სკოლა და გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ მსახურობდა ჯარში და მიენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება . ამჟამად არის უფროსი ლეიტენანტი, მინიჭებული აქვს ანტალიის საერთაშორისო ტრენინგის სერტიფიკატი. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი. მუდამ ერთგულად ემსახურება ჩვენი მუშაკების უმთავრეს ამოცანას – ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების გადარჩენის საქმეს.

– თქვენს გვერდით ახლა ისეთ ბიჭებს ვხედავ, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან თავიანთ ოცეულის მეთაურს. სულ რამდენი მეხანძრე-მაშველი მუშაობს განყოფილებაში და რაიმე სახის ჯილდოები თუ აქვთ მიღებული ამ ახალ 2021 წელს?

– განყოფილების ხელმძღვანელობის ჩათვლით ჩვენს განყოფილებაში სულ 23 თანამშრომელია. რაც შეეხება ჯილდოებს, წინა წლებში ვიღებდით პრემია-დანამატებს, მაგრამ წელს ჯერჯერობით არ მიგვიღია.

– გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდი ხანზარსაშიში თვალსაზრით შედარებით მშვიდია, სხვა თუ არაფერი, შედარებით ნაკლებია მინდვრისა და ტყის წაკიდების საფრთხე. ეს სხვა სიტუაციებსაც ეხება თუ მარტო ხანძრებს?

– სიმართლე რომ ითქვას, ეს ბოლო თვეებია ხანძრებისაგან ცოტა ამოვისუნთქეთ, მაგრამ გაგვეზარდა ავტოსაგზაო შემთხვევები და ძირითადად ამ კუთხით გვიწევს მუშაობა. ისე, რომ საქმე და საკეთებელი არც ახლა გვაკლია ჩვენს მუშაკებს და ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ვალდებული ვართ მუდამ მზადყოფნაში ვიყოთამა თუ იმ შემთხვევაზე რეაგირების მოსახდენად და მინდა ყველა დავარწმუნო იმაში, რომ საგარეჯოელი მეხანძრე-მაშველები ახლაც და მომავალშიც პირნათლად შევასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას.

– ***ღმერთმა დაგლოცოთ ამისათვის და ყოველთვის წარმატებით დაგასწროთ თქვენს პროფესიულ დღეებს.***

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

ჯანმრთელობა

კიდევ ერთხელ საშიშ ვირუსზე „kovid-19" და ჩვენ

მსოფლიო კვლავ covid-19-ის საშიშროების წინაშეა. ამიტომ ვალდებულები ვართ ვიცოდეთ იმ ვერაბი დაავადების შესახებ ყველაფერი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და თუ არ გავფრთხილდებით, კიდევ შეიწირავს.

როგორ მუშაობს COVID-19-ის ვაქცინები?

ვაქცინები დაავადების გამომწვევი ინფექციური აგენტების - ვირუსების, ბაქტერიების ან სხვა მიკროორგანიზმების იმიტაციის გზით მოქმედებს. ისინი ჩვენს იმუნურ სისტემას ინფექციის წინააღმდეგ სწრაფად და ეფექტურად რეაგირებას „ასწავლიან".

ტრადიციულად, ეს მიიღწევა ორგანიზმში ინფექციური აგენტის დასუსტებული ფორმის შეყვანის გზით, რაც ჩვენს იმუნურ სისტემას მისი დამახსოვრების საშუალებას ძლევს. ამის შედეგად, ჩვენს იმუნურ სისტემას შეუძლია სწრაფად იცნოს ინფექცია და ებრძოლოს მას მანამ, სანამ ავად გავხდებით. COVID-19-ის საწინააღმდეგო ზოგიერთი ვაქცინა სწორედ ამ პრინციპით არის შექმნილი.

COVID-19-ის სხვა ვაქცინები ახალი მიდგომების გამოყენებით შემუშავდა. მათ მესენჯერ RNA ან mRNA ვაქცინებს უწოდებენ. ანტიგენების შეყვანის ნაცვლად (ანუ ნივთიერებისა, რომლის ზემოქმედებით ჩვენი იმუნური სისტემა ანტისხეულებს წარმოქმნის), mRNA ვაქცინა ჩვენს ორგანიზმს გენეტიკურ კოდს სძენს, რომელიც იმუნურ სისტემას ანტიგენის გამოსამუშავებლად სჭირდება. mRNA ვაქცინის ტექნოლოგია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მუშავდებოდა. ეს ვაქცინები არ შეიცავს ცოცხალ ვირუსს და ზემოქმედებას არ ახდენს ადამიანის დნმ-ზე.

არის თუ არა COVID-19-ის ვაქცინები უსაფრთხო?

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის ვაქცინები ძალიან სწრაფად მუშავდება, მათ კლინიკური კვლევების პროცესში მკაცრი ტესტირება უნდა გაიარონ იმის დასადასტურებლად, რომ ისინი აკმაყოფილებენ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ უსაფრთხოებისა და ეფექტურობის სტანდარტებს. მხოლოდ ამ სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში ვაქცინა შეიძლება დამტკიცდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ეროვნული მარეგულირებელი სააგენტოების მიერ.

გაეროს ბავშვთა ფონდი ყიდულობს და აწვდის მხოლოდ იმ ვაქცინებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ უსაფრთხოების და ეფექტურობის კრიტერიუმებს და დამტკიცებულია მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

რა უნდა ვიცოდეთ COVID-19-ის ვაქცინით აცრამდე, აცრის დროს და მის შემდეგ.

როგორ მოხერხდა COVID-19-ის ვაქცინების შემუშავება ასე სწრაფად?

კვლევასა და განვითარებაში ჩადებული უპრეცედენტო ინვესტიციების და გლობალური თანამშრომლობის შედეგად, მეცნიერებმა COVID-19–ის წინააღმდეგ უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინების შემუშავება რეკორდულ დროში მოახერხეს. ამ პროცესში დაცული იყო უსაფრთხოების ყველა სტანდარტული პროცედურა და მკაცრი მარეგულირებელი სტანდარტები.

უაღრესად იმედისმომცემია ის, რომ COVID-19-ის იმ ვაქცინების გარდა, რომლებიც ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიყენება, არსებობს შემუშავების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი 200–ზე მეტი „კანდიდატი" ვაქცინა. ამათგან რამდენიმე ვაქცინა კლინიკური კვლევების მე-3 ფაზაშია (ვაქცინის დამტკიცების ბოლო ეტაპზე).

COVID-19-ის რომელი ვაქცინაა ჩემთვის საუკეთესო?

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებული ყველა ვაქცინა ძალზე ეფექტურია COVID-19–ის მძიმე დაავადებისგან დასაცავად. საუკეთესო ვაქცინა ისაა, რომელიც ყველაზე ხელმისაწვდომია თქვენთვის!

ეფექტურად დაგვიცავს თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები დაავადების ახალი შტამებისგან?

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ დღემდე დამტკიცებული ვაქცინები სავარაუდოდ გარკვეულწილად ახალი შტამბებისგანაც იცავს.

მსოფლიოს ექსპერტები გამუდმებით სწავლობენ ახალი შტამების ზემოქმედებას ვირუსის ქცევაზე, მათ შორის, მათ პოტენციურ ზემოქმედებას COVID-19 ვაქცინების ეფექტურობაზე.

თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ვაქცინა ნაკლებად ეფექტურია ერთი ან მეტი შტამის მიმართ, შესაძლებელი იქნება მისი შემადგენლობის შეცვლა აღნიშნული შტამებისგან დასაცავად. მომავალში შეიძლება საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა იმუნიზაციის პროცესში, როგორიცაა განმეორებითი ვაქცინაციის გამოყენება და სხვა სიახლეების შემოღება.

მაგრამ მანამდე მნიშვნელოვანია ავიცრათ და ამავე დროს განვაგრძოთ ზომების მიღება ვირუსის გავრცელების შესამცირებლად, რაც ვირუსის მუტაციის შანსებსაც შეამცირებს. ასეთი ზომებია ფიზიკური დისტანციის დაცვა, ნიღბების ტარება, კარგი ვენტილაცია, ხელების რეგულარული დაბანა და დროული მიმართვა სამედიცინო დახმარების მისაღებად დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში.

ვინ უნდა აიცრას პირველ რიგში?

იმის გამო, რომ 2021 წელს გლობალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ვაქცინების საკმარისი ოდენობის წარმოების შესაძლებლობები არ არის, ერთდროულად ყველა ადამიანის აცრა შეუძლებელია. ქვეყნებმა უნდა გამოავლინონ მოსახლეობის პრიორიტეტული ჯგუფები, რომლებსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია უწევს რეკომენდაციას. ესენი არიან წინა ხაზზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი (ჯანდაცვის სისტემების დასაცავად) და COVID-19-ის შედეგად გარდაცვალების ყველაზე მაღალი რისკის მქონე პირები, მაგალითად, ხანდაზმულები და გარკვეული სამედიცინო პრობლემების მქონე პირები. ამის შემდეგ პრიორიტეტი უნდა მიეცეს კრიტიკული მნიშვნელობის სხვა სფეროებში მომუშავე პირებს (მაგალითად მასწავლებლებს და სოციალურ მუშაკებს). როდესაც ვაქცინების მეტი დოზები გახდება ხელმისაწვდომი, მოსახლეობის ამ ჯგუფებს სხვა ჯგუფებიც დაემატება.

რა შემთხვევაში არ უნდა გაიკეთოთ COVID-19-ის აცრა?

თუ ჯანმრთელობის პრობლემების გამო თქვენ COVID-19-ის აცრის გაკეთებასთან დაკავშირებით გარკვეული შეკითხვები გაქვთ, მიმართეთ თქვენს ექიმს. დღეისათვის დადგენილია, რომ უარყოფითი ეფექტის თავიდან აცილების მიზნით, COVID-19-ის აცრა არ უნდა გაიკეთონ ჯანმრთელობის შემდეგი პრობლემების მქონე პირებმა:

მათ, ვისაც ალერგიული რეაქცია აქვთ COVID-19-ის ვაქცინაში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

მათ, ვინც ამჟამად ავადაა ან COVID-19-ის სიმპტომები აქვთ (თუმცა, შეგიძლიათ გაიკეთოთ აცრა მას შემდეგ, რაც გამოჯანმრთელდებით და თქვენი ექიმი აცრის ნებართვას მოგცემთ).

საჭიროა თუ არა აცრა იმ შემთხვევაში, თუ COVID-19 უკვე გადატანილი მაქვს?

დიახ, იმუნიზაცია საჭიროა იმ შემთხვევაშიც კი, თუ COVID-19 უკვე გადაიტანეთ. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19–ისგან განკურნებულ ადამიანებს შეიძლება ვირუსის მიმართ ბუნებრივი იმუნიტეტი განუვითარდეთ, ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს გრძელდება ის, ან რამდენად ხართ დაცული. ვაქცინაცია უფრო საიმედო დაცვას გვთავაზობს.

შეიძლება თუ არა ავიცრა თუ ბავშვი ძუძუთი კვებაზე მყავს?

მკვლევარები ამჟამად სწავლობენ COVID-19-ის ვაქცინაციის გავლენას მეძუძურ ქალებზე, მაგრამ ამ დროისთვის ინფორმაცია ჯერ კიდევ ძალიან მცირეა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვირჩევს მეძუძური ქალების აცრას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვაქცინაციის პრიორიტეტულ ჯგუფში შედიან, მაგალითად მათთვის, ვინც ჯანდაცვის სფეროში მუშაობს. ძუძუთი კვება შეიძლება იმუნიზაციის შემდეგაც გაგრძელდეს და იგი თქვენი ბავშვის დაავადებებისგან დაცვისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად რჩება.

შეიძლება თუ არა COVID-19-ის აცრის გაკეთება ორსულობის დროს?

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად COVID-19–ით მძიმედ დაავადების რისკი დაბალია, ორსულობა თქვენს რისკებს ზრდის.

COVID-19-ის ვაქცინით ორსული ქალების აცრის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის საკითხები ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, მაგრამ არ არსებობს რაიმე ცნობილი მიზეზი, რომელიც ორსულთა ვაქცინაციით მიღებულ სარგებელს გადაწონის. ამის გამო, ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე, აცრა შეიძლება გაუკეთდეთ იმ ორსულ ქალებს, რომლებსაც COVID-19–ის ზემოქმედების მაღალი რისკი (მაგ., სამედიცინო მუშაკებს) ან ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები აქვთ, რომლებიც COVID-19-ით მძიმედ დაავადების რისკს ქმნიან.

ახდენს თუ არა COVID-19-ის ვაქცინა ზემოქმედებას ფერტილურობაზე?

არა, არ ახდენს. სოციალურ ქსელში თქვენ შეიძლება წაკითხული გქონდეთ ასეთი მცდარი შეხედულებების შესახებ, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ რომელიმე ვაქცინამ, მათ შორის COVID-19-ის ვაქცინებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალებისა და მამაკაცების ფერტილურობაზე. თუ თქვენ ამჟამად დაორსულებას ცდილობთ, არ არის იმის საჭიროება, რომ ორსულობას მოერიდოთ COVID-19 აცრის შემდეგ.

საჭიროა თუ არა ბავშვების აცრა COVID-19-ის ვაქცინით?

ბავშვების იმუნური სისტემა განსხვავდება ზრდასრულთა იმუნური სისტემისგან და შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მათი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც. დღეისათვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული COVID-19 ვაქცინები არ არის რეკომენდებული 16-18 წლამდე ასაკის პირებისთვის მაშინაც კი, თუ ისინი მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. ბავშვებზე COVID-19-ის ვაქცინის ზემოქმედება შესწავლილი არ იყო ვაქცინების საწყისი კვლევების დროს. ამიტომაც ამჟამად COVID-19-ის წინააღმდეგ 16 წლამდე ასაკის ბავშვების ვაქცინაციის უსაფრთხოებისა და ეფექტურობის შესახებ მონაცემები ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არსებობს. საჭიროა მეტი კვლევის ჩატარება.

ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ თქვენს ბავშვს რუტინული საბავშვო აცრები ჩაუტარდეს.

როდის იქნება COVID-19-ის ვაქცინა ხელმისაწვდომი ჩემს ქვეყანაში?

ვაქცინების განაწილება გლობალური მასშტაბით მიმდინარეობს და მათი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია.

COVAX-ის პლატფორმის სახელით, გაეროს ბავშვთა ფონდი ყიდულობს COVID-19-ის ვაქცინებს და აწვდის მათ მთელს მსოფლიოს, იმისთვის რომ არცერთი ქვეყანა არ დარჩეს ვაქცინის გარეშე. ჩვენი მიზანია 2021 წლისთვის მივიღოთ და დავარიგოთ 2 მილიარდი დოზა. დოზები COVAX-ის მონაწილე ქვეყნებს გადაეცემათ განაწილების ფორმულის საფუძველზე, მათი მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის პროპორციულად.

რა არის COVAX-ის პლატფორმა?

COVAX-ის პლატფორმა გლობალური ძალისხმევაა, რომელიც მიზნად ისახავს COVID-19-ის ვაქცინების შემუშავებისა და წარმოების დაჩქარებას და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მისი სამართლიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. არც ერთი ქვეყანა არ იქნება COVID-19-ისგან დაცული მანამ, სანამ ყველა ქვეყანა არ იქნება დაცული.

COVAX-ის პლატფორმაში ჩართულია 190 ქვეყანა და ტერიტორიული ერთეული, რაც მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენს. მუშაობს რა ეპიდემიისთვის მზადყოფნის ინოვაციების კოალიციასთან (CEPI), ვაქცინების გლობალურ ალიანსთან (GAVI), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO) და სხვა პარტნიორებთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდი COVAX–ის სახელით COVID-19-ის ვაქცინების შეძენისა და მიწოდების ღონისძიებებს ხელმძღვანელობს.

ინტერნეტში COVID-19-ის ვაქცინების შესახებ არაზუსტ ინფორმაციას ყავაყყდი. როგორ მოვიქცე?

სამწუხაროდ, ინტერნეტში უამრავი არაზუსტი ინფორმაცია არსებობს COVID-19 ვირუსის და ვაქცინების შესახებ. ჯანმრთელობის კრიზისის დროს დეზინფორმაციამ შეიძლება პარანოია, შიში და სტიგმატიზაცია გამოიწვიოს. მას, ასევე, შეუძლია ადამიანი ვირუსის მიმართ დაუცველი ან უფრო მეტად მოწყვლადი გახადოს. მიიღეთ გადამოწმებული ინფორმაცია და რჩევები სანდო წყაროებიდან, როგორიცაა თქვენი ადგილობრივი სამედიცინო ორგანო, გაერო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

თუ თქვენ ინტერნეტში ისეთი შინაარსის პუბლიკაციას გადააწყდებით, რომელიც თქვენი აზრით ყალბი ან შეცდომაში შემყვანია, შეგიძლიათ მისი გავრცელება შეაჩეროთ, თუ ამის შესახებ სოციალური მედიის პლატფორმას აცნობებთ.

მოქმედებს თუ არა COVID-19-ის ვაქცინები დნმ-ზე?

არა, COVID-19-ის არც ერთი ვაქცინა არანაირ გავლენას არ ახდენს თქვენს დნმ-ზე. მესენჯერი ღ ან მღ ვაქცინები ასწავლის უჯრედებს თუ როგორ უნდა შექმნან ცილა, რომელიც სხეულში იმუნურ რეაქციას იწვევს. ამ რეაქციის დროს წარმოიქმნება ანტისხეულები, რომლებიც ვირუსისგან გიცავთ. მღ განსხვავდება დნმ-ისგან და უჯრედის შიგნით მხოლოდ დაშლამდე რჩება, დაახლოებით 72 საათის განმავლობაში. ამასთან, ის არასდროს შედის უჯრედის ბირთვში, სადაც დნმ-ი ინახება.

შეიცავს თუ არა COVID-19-ის ვაქცინები ცხოველურ პროდუქტებს?

არა, COVID-19-ის არცერთი ვაქცინა, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის დამტკიცებული, ცხოველურ პროდუქტებს არ შეიცავს.

როგორ შემიძლია დავიცვა ჩემი ოჯახი COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მიღებამდე?

უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინები მდგომარეობას ძირეულად ცვლიან, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დონეზე შეუძლიათ მათ დაგიცვან ინფექციისგან და მისი გადაცემისაგან. ამ ეტაპზე, აცრის გაკეთების შემდეგაც კი, ჩვენ კვლავ უნდა გავაგრძელოთ სიფრთხილის ზომების მიღება საკუთარი თავისა და გარშემო მყოფი პირების დასაცავად. ეს გულისხმობს პირბადეების ტარებას, ფიზიკური დისტანციის დაცვას და ხელების რეგულარულ დაბანას.

ჩვენი ქვეყანა –

დასაბამისეული იდუმალებითა და ფაქტებით სავსე მთა

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რატომ ინტერესდებიან ჩვენი ქვეყნით ახლადშექმნილი, ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოები?

2007 წელს ხვამლი არქეოლოგმა გურამ გაბიძაშვილმა დაზვერა და ხვამლის მთავარი ციხე-გამოქვაბულის კედლებზე დახატული ციურ მნათობთა სქემა აღმოაჩინა, ასევე ცხენზე ამხედრებული ძველეგვიპტური ისიდა და ოსირისი (ნაყოფიერებისა და წყლის ღმერთები).

შემდეგ ხვამლის შესახებ რეჟისორმა დავით გოგუაძემ დოკუმენტური ფილმი გადაიღო, სადაც სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს სქემა ჩვენ წ. აღ. -მდე 5604 წლის ვარსკვლავის განლაგებას ასახავს, - სწორედ ეს წელიწადი მიიჩნევა ქართველების წელთაღრიცხვის დასაწყისად, ვიდრე ქრისტემდე. და კიდევ ამ ექსპედიციის ერთი საოცარი ნიუანსიც: როგორც ბერძნული მითები ჰყვებიან, ხვამლის მთაზე მიჯაჭვული პრომეთეს გასათავისუფლებლად გმირი ჰერაკლე გაიგზავნა. მას ებრძანა, რომ პრომეთეს საპოვნელად მდინარე ფასისს (რიონს) აჰყოლოდა, იქ გამოქვაბულიდან გადმომდინარე ჩანჩქერი უნდა გადაეგდო, გამოქვაბულში შესულიყო და პრომეთე გაეთავისუფლებინა - ადგილობრივებმა მართლაც მიასწავლეს ექსპედიციას გამოქვაბული, საიდანაც წყალი წელიწადის სხვადასხვა დროს ხან ცხენისწყლის ხეობისკენ გადავარდება, ხანაც რიონისაკენ.

ამ ექსპედიციამ ზღვის დონიდან 1888 მ-ზე არქეოლოგიური ნიშნული გააკეთა, - იქ უცნაური რაღაც იყო. მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოკვეთილი ნახევრად წრიული ქვის ყორის მსგავსი, რომელსაც ზემოთ სამი მხრიდან პიტალო ეხები (კლდის მასივები) გადმოჰფარებოდა. თუმცა იქაურობას დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბალახი ფარავდა. ხალხი ამბობს, რომ ეს ბალახი იმ ადგილას ამოდის, სადაც ამირანის (პრომეთეს) სისხლი წვეთავდა.

კახაბერ ჯიღლაძე – *მკვლევარი:*

- ხვამლის მთა ლეჩხუმში, ზღვის დონიდან 2002 მეტრზე მდებარეობს და ერთ-ერთი უნიკალური და უმნიშვნელოვანესი ადგილია საქართველოში. მასთან დაკავშირებულია უამრავი მითი, თუ ლეგენდა, ერთ-ერთი და ყველაზე საინტერესოა მითი ბერძენ პრომეთეზე, რომლის მიხედვითაც ტიტანი ამ მთაზეა მიჯაჭვული, მისი დანახვა კი შვიდ წელიწადში ერთხელ არის შესაძლებელია, როდესაც ქვაბული იხსნება; ასევე მითი იმაზე, რომ ხვამლი წარმოადგენდა ქართველ მეფეთა განძსაცავს და ა.შ...

მთაზე ჩატარებულმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ფასდაუდებელი განძი, ეს გახლავთ გამოქვაბულის კედელზე გამოსახული ნიშან-სიმბოლოები, რაც, სპეციალისტების ვარაუდით, ასახავენ ვარსკვლავთა განლაგებას გარკვეულ დროში და ეს პერიოდი არის ქართულ-შუმერული წელთაღრიცხვის დასაწყისის აღმნიშვნელი ძვ. წ. აღ.-ით 5604 წელი. აქ მოცემულია მერკურის - ვენერას- მარსის და მზის ისეთი განლაგება მერწყულის - თხის რქის და მშვილდოსანის ზოდიაქოში, რაც გვაძლევს 5604 წლის 18-21 მარტის პერიოდს, ანუ გაზაფხულის ბუნიობას.

ცნობილია, რომ ქართველები ითვლიდნენ დასაბამიდან 5604 წელს ქრისტემდე, რაც ყველაზე ძველი წელთაღრიცხვაა სხვებთან შედარებით, მაგალითად, ბაბილონური ითვლის 5500 წელი ქრისტემდე, როცა მიდის დავა თუ როდის შეიქმნა ქართული ეთნოსი, ჩვენ გვაქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ რა უძვ ელესია ჩვენი წელთაღრიცხვა...

ხვამლის მთაზე რომ ძალიან დიდი ცოდნა იყო, ამას ბევრი რამ მოწმობს... მთაზე უძველესი ეკლესიაა, სადაც ასევე შემორჩენილია უძველესი ობსერვატორიის ნაშთები...

ამ პერიოდში მომხდარი კატაკლიზმები გამოიკვლიეს კოლუმბიის უნივერსიტეტის გეოლოგებმა უილიამ რაიანმა და უოლტერ პიტმანმა და 1998 წელს დაადგინეს რომ 5600 წლისთვის მოხდა უდიდესი კატასტროფა, კერძოდ ოკეანის დონის ამაღლებამ გამოიწვია ხმელთაშუა ზღვის გადმოხეთქვა ბოსფორის სრუტიდან შავ ზღვაში, რომელიც იმ დროისთვის მტკნარი ტბა იყო და გამოიწვია მისი დონის 100 მეტრით ამაღლება, ანუ ეს იქნებოდა წარღვნა იმ დროინდელი ცივილიზაციისათვის. რა თქმა უნდა, ადამიანები თავს შეაფარებდნენ მთებს კლდეებს და სტიქიის მიწყნარების დროს, როცა გამოჩნდებოდა ცაზე ვარსკვლავები, ისინი აღბეჭდავდნენ ამ მომენტს და დაიწყებდნენ ახალ ქართულ წელთაღრიცხვას.

ასეთი უნიკალური ძეგლი გვაქვს, რომელიც საერთოდ არ არის შესწავლილი. იმის ნაცვლად, რომ შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ, ახლა ჰესების მშენებლობას აპირებენ, რაც ყოვლად დაუშვებელია...

„ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს..”

ძველი ბერძნული მითები გვამცნობენ, რომ პრომეთე ღმერთებისთვის ცეცხლის მოპარვისთვის, ზევსის განჩინებით, კავკასიონის მთაზე იყო მიჯაჭვული. პრომეთე იგივე ამირანია, რომელსაც გულ-ღვიძლს ყორანი უკორტნიდა... ქრისტემდე III საუკუნეში აპოლონ როდოსელი წერდა, არგონავტებს მდინარე ფაზისის (რიონი) გადაცურვისას მთიდან პრომეთეს გმინვა ესმოდათო. იმ მის აღწერილობა კი ხვამლისას ემთხვევა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში პრომეთესა და არგონავტების კვალის აღმოსაჩენად ხვამლი იტალიელმა მკვლევარმა პიზაგალიმ დალაშქრა. ის წერდა - გამაოცა იმან, რომ აქაურებმა მშვენივრად იცოდნენ პრომეთეს ამბავი და განუზომლად უხაროდათ, როცა ნადირობისას სვავებს ვხოცავდითო. არსებობს სხვა თქმულებაც: ხვამლს

მართლმადიდებლობა

საქართველოს მფარველი – წმინდა გიორგი

სვანეთის საგანძურიდან წმინდა გიორგის ერთერთმა ხატმა ინება გამობრძანება ქვეყნის შესაწევნელად.ეს ხატი საოცარია მისი სიმბოლოებით.წმინდა გიორგი ტახტზე ზის–ანუ მახვშის სკამზე.საკარცხულის უკან მოჩანს მშვილდ –ისარი და ისრები,ჩაწყობილი საისრეში.მარცხენა ხელში უჭირავს ქარქაშში ჩაგებული ხმალი.ზედ შემოხვეული სიმბოლოთი.მხეცის თავზე დადგმული აქვს მარცხენა ფეხი. მარჯვენა ხელი მშვიდად უდევს თეძოზე. ეს ყოველივე ნიშნავს რომ წმინდა გიორგის უბრძოლველად,ანუ სიბრძნით შეუძლია უკეთურების დამარცხება.სწორედ ეს ჟამი დგას ახლა ჩვენს ქვეყანაში. სიმშვიდით,რწმენის სიმტკიცით, ანუ როგორც სახარება იტყვის სიბრძნით უნდა დამარცხდეს ბოროტება.ეს გონიერება ხალხმა უნდა გამოიჩინოს,საყურადღებოა რომ წმინდა გიორგის იარაღიც მარცხენა ხელში უჭირავს და ცხოველის თავზეც მარცხენა ფეხი უდგას,რაც ნიშნავს,რომ იმხელა მადლი და ძალა შეიძლება მოგვცეს მარცხენაში,რომ ორივე ხელით გამარჯვებულნი ვიყოთ.აბა როგორდა იქნება გამარჯვება,თუ ორივე ხელით არ გავიმარჯვეთ.სიბრძნეს სახარებისა,რომ რწმენით შეიძლება მთა გადადგეს,ვეფხისტყაოსანიც თავისებურად ამბობს:–”ჰკრა ერმანეთსა დახოცნა თავსა ხელადუპყრობელად,ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.”ე.ი. ძალგვიძს უბრძოლველად შინაგანი სიმტკიცით და რწმენით უკეთურის დამარცხება.ეს ქრისტეს მხედართა ხელობაა,საბრძოლო ხელობა. ამას შესწავლა უნდა აქეთ მოგვიწოდებს წმინდა გიორგი შევევედროთ მას წმინდა კელაპტრები ავუნთოთ და შევთხოვოთ წმინდა ჯვრის მადლით შეგვეწიოს. ეს არის –,ძლიერება უბრძოლველი...

ნოეს კიდობანიც მიადგა და მის მიდამოებში ქართველების პირველი წინაპარი დაესახლა (ქართველები ნოეს ერთ-ერთი ძის, იაფეტის შთამომავალნი ვართ!).

ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს, ხვამლის კლდეში არის „ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები... ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს.

ხვამლის მისტიკამ ჟიულ ვერნიმდეც კი მიაღწია და თავის რომანში „შეუპოვარი კერაბანი” აღწერა.

მიუხედავად ამისა, ხვამლი პროფესიონალურად არ შესწავლილა, ალბათ იმიტომ, რომ სტალინის ბრძანებით (ალბათ, სჯეროდა, რომ იქ განძი იყო გადანახული) ხვამლის მთავარ ციხე-ქვაბულში 1939 წელს ცნობილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე ავიდა, რომელმაც განაცხადა, - იქ არაფერიაო... მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე როდია - ხვამლის ფანტასტიკურ კარს მიღმა არის რაღაც მნიშვნელოვანი, რაც ჯერ არ ვიცით.. განძის საძიებლად პირველი ოფიციალური ექსპედიცია სტალინის დავალებით ჯერ კიდევ ომის პერიოდში მოეწყო, 1945 წელს ალიოშა (ალექსანდრე) ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. თერთმეტკაციანმა ჯგუფმა გამოქვაბულებში რამდენიმე დღე დაჰყო და ბოლოს განაცხადეს, რომ ვერაფერი ნახეს და რომ განძი დიდი ხნის გატანილი შეიძლება ყოფილიყო. თუმცა საინტერესოა, რომ ამ ექსპედიციამდე ჯერ კიდევ 1939 წელს იმავე მიზნით ალიოშა ჯაფარიძე იქ ორ მუშასთან ერთად ავიდა და ის სტალინის პირადი დავალებით მოქმედებდა, თუმცა ოფიციალურად ამის დამამტკიცებელი რაიმე ცნობა არ არსებობს.

1944 წელს გერმანიის არმიის ხელმძღვანელობამ სტრატეგიულად ყოვლად გაუმართლებელი მანევრი განახორციელდა და კავკასიის მთებში დესანტი გადმოსხა. ელიტარულმა სამთო დანაყოფმა „ედელვაისმა” კავკასიის მთავარი ქედის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე მესამე რაიხის დროშა აღმართა. ედელვაისი მარუხის უღელტეხილზე, ქართულმა სამთო დივიზიამ გაანადგურა. დაზუსტებით დღემდე არავინ იცის რას ემსახურებოდა გერმანელების აღნიშნული ოპერაცია. არის მოსაზრება, რომ ისინი კავკასიის მთებში წარსულის საიდუმლო რელიქვიებს ეძებდნენ, რომლის არსებობის შესახებაც გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ, იმდენად სანდოს, რომ ამგვარ სამხედრო მანევრზე წასვლაც კი გარისკეს.

მეორე ოფიციალური ექსპედიცია ხვამლის მთაზე რეზო შალიბაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო 1984 წელს. ექსპედიციის მიზანი გახლდათ ძეგლის დათვალიერება და მისი ფირზე აღბეჭდვა, რაც შეასრულეს კიდეც და თან წამოიღეს წინა ჯგუფის მიერ დატოვებული წერილი.

2007 წელს არქეოლოგ გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ხვამლის მთაზე მესამე ოფიციალური ექსპედიცია. მათი თავდაპირველი მიზანი იყო ხვამლის, როგორც განძსაცავის გამოკვლევა. 2009 წელს ექსპედიციამ „რუსთაველის გრანტი” მოიპოვა და ახალი ძალებით, უფრო მასშტაბური გეგმით შეუდგა ხომლის მასივის კვლევას.

რეჟისორმა დავით გოგუაძემ ორივე ექსპედიციაზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი.

კლდეში გამოკვეთილ ციხე-ქვაბულში, რომელიც კლდის ძირიდან 50 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ისინი ავიდნენ და შიგნით შესვლისას ამგვარი სცენა წარმოუდგათ თვალწინ: ქვედა ბაქანი კლდეშია გამოკვეთილი, სადაც 7 ოთახია. ქვაბული ხელოვნურადაა გამოჭრილი და კედლებზე წითელი საღებავით გამოხატული ფიგურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვაბული არქაულ პერიოდს ეკუთვნის. ამ მოსაზრებას უფრო ამძაფრებს ოთახების თავზე სუფთად ნათალი მასიური ქვის კარნიზი. ზედა ბაქნით უკვე შუა საუკუნეების ციხე-ქვაბულში შევდივართ - ეს არის მერვე ოთახი, რომელიც როგორც ჩანს, გვიანდელ პერიოდში რაღაც დანიშნულებით მიამატეს კომპლექსს. სავარაუდოდ, სწორედ ეს ოთახი უნდა ყოფილიყო მეფეთა ხსენებული განძსაცავი. იგი სანახევროდ სავსეა ჭერიდან ჩამოყრილი ქვებით და მისი გაწმენდა უამრავ დროსა და მუშახელს მოითხოვდა, რისი საშუალებაც მკვლევარებს სამწუხაროდ, არ გააჩნდათ.

დასასრული

რაიონის კომკავშირელთა თავკაცის უპრეცენდენტო, გამაოგნებელი განცხადება – „ყველამ თავისი მკვდარი იტიროს". თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის „ეპოპეა" – ერეკლე მეორის ისტორიული ციხისა და სასახლის ტერიტორიიდან პატიმართა საპყრობილეს გატანა და პირვანდელი სახის დაბრუნება, იყალთოს „ახალი აკადემიის", ტურისტული ბაზის, სამედიცინო ქალაქის, ახალი პედაგოგიური ინსტიტუტის ფილიალის დაარსება, ახალი სტადიონი, თორმეტსართულიანი ახალი სასტუმრო „ინტურისტის" მშენებლობა, სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის, ახალი თეატრის, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, მაღაზიების, კულტსახლების, საავადმყოფოების, ფერმების, გზების, ხიდების მშენებლობა და თელავის სავიზიტო ბარათის „უკვდავი ქართველი მეფის" ერეკლე II-ის ძეგლის აღმართვა.

1973 წლიდან იგი სამუშაოდ მშობლიურ საგარეჯოს რაიონში გადმოჰყავთ და აქედან იწყება მისი დაუღალავიი ზრუნვა და ბრძოლა ღმერთისა თუ მავანთა ხელით გახლეჩილი და მკლავჩამოთვლილი კაცს დამსგავსებული გარეჯის მიწის, გარეჯული კულტურის უძველესი ძეგლების დასაბრუნებლად და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. ეს მიწები და წმინდა სავანეები 1961 წელს, მაშინდელი საგარეჯოს აღმასკომის თავმჯდომარის ხელრთვით გარდაბნის რაიონს გადაეცა. აღმასკომის თავმჯდომარემ ისარგებლა ადგილზე რაიკომის პირველი მდივნის არყოფნით და ისე მოაწერა ამ დოკუმენტს ხელი, რაც ცოტას დარჩა სიცოცხლის ფასად არ დაუსვა I მდივანმა.

1974 წლის 6 აგვისტო – საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო იღებენ გეგმა-პროექტს საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, რის მიხედვითაც უნდა აშენებულიყო მსხვილი მესაქონლეობის ფერმები და კომპლექსები საგარეჯოში, ნინოწმინდაში, იორმუღანლოში, კრასნოგორკაში, ბოგდანოვკაში, მ.შ. გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი 48000 სულზე, ბოგდანოვკაში გაჯის ქარხანა, კერამიკული საწარმო ყანდაურაში, საექსპორტო ღვინოების ჩამოსასხმელი ქარხანა და სხვა, რაც ქ-ნ მედეას საქართველოს მაშინდელ პირველ პირთან ე. შევარდნაძის ოჯახთან სიახლოვით უნდა აიხსნას.. მის უმთავრეს მიზნად კი მაინც გარეჯული მიწებისა და წმინდა სავანეების დაბრუნება იყო, რომელიც უცხოტომელ მეცხვარეებსა და მესაქონლეებს ცხვრისა და პირუტყვის სადგომებად ჰქონდათ გადაქცეული და არავითარ ღონეს არ ზოგავდნენ იქ არსებული უნიკალური ფრესკებისა და მხატვრობის დასაზიანებლად.

თითქმის ორწლიანი ომი, რომ იტყვიან ხმალამოღებული ბრძოლა დასჭირდა მამით მეზვრიშვილისა და დედით ღვინაშვილების გვარის ღირსეულ წარმომადგენელს, რომ ეს საკითხი „ადგილიდან დაიძრა" და საგარეჯოსთვის დაებრუნებინა შეუგნებელი აღმასკომის თავმჯდომარის მიერ გაყიდული თუ გასხვისებული 52 ათასი ჰექტარი მიწა და იქ განთავსებული ქართული კულტურისა და სულიერების ძეგლები.

და აი, პირველი ნაბიჯიც – 1975 წელს უდაბნოში ცხოვრობდა 17 ოჯახი – 2 ქართული, 2 რუსული, 2 ქურთული, 11 აზერბაიჯანული.

1976 წელს მოსულმა ძლიერმა თოვლმა საფრთხეში ჩააგდო მეურნეობის მეცხვარეობის ფერმები და თვითონ ცხვრის არსებობასაც შეუქმნა საფრთხე, მაგრამ მედეა მეზვრიშვილის თავკაცობით, რომელიც პირადად მონაწილეობდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში, ყოველგვარი საფრთხე არიდებული იქნა.

ახლადშემოერთებული მიწების აღორძინებისა და განვითარების საქმეში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ნასოფლარის კერაზე ახალი ქართული სოფლის დაარსებას, რასაც რაიონის თავკაცი ისეთივე გულმოდგინებით და დაბეჯითებით შეუდგა, როგორიც ამ მიწების დაბრუნება იყო. უდაბნოში დასახლების მსურველთათვის სახელდახელოდ დაიდგა პირველად 9, შემდეგ კი 34 ფინური კოტეჯი. პარალელურად,

ნუ მივივიწყებთ და ნუ დავკარგავთ სახელებს

ღვაწლი, რომელიც დღესაც გვახსენებს თავს

საქართველოს ცეკა და მთავრობა ერთდროულად იღებენ ორ ისტორიულ დადგენილებას. I – დავით გარეჯის მიწები დაუბრუნდა საგარეჯოს რაიონს და დავით გარეჯის კულტურული ძეგლები გამოცხადდა მუზეუმ-ნაკრძალად. აქ ალბათ ზედმეტი იქნებოდა მკითხველისათვის იმის შეხსენება, თუ რა დიდი შრომა გასწიეს გარეჯელებმა ცხვრის და საქონლის დრემლითა და ნაკელით დაბინძურებული სავანეების და იქ არსებული ქართველი წმინდანების სამუდამო განსასვენებელთა დასასუფთავებლად. სასწრაფოდ იქნა გაყვანილი 55 კმ-იანი საგარეჯოდან დავითის ლავრამდე.

1976 წელი, 16 მაისის კვირა დღე. არსებობას იწყებს დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი (საპატიო რექტორი ვასილ გულისაშვილი, რექტორი პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი) და სახალხო დღესასწაული „გარეჯობა", რომელიც შემდგომ წლებში ყოველ;წლიურად მაისის მეორე კვირას იმართებოდა და საქართველოს პირველ პირებთან, მწერლებთან, პოეტებთან, მეცნიერებთან, უბრალო მშრომელებთან ერთად მაშინდელი სსრკ ხელმძღვანელი პირები და უცხოელი სტუმრებიც ესწრებოდნენ. პირველი გარეჯობის ზეიმს 12 ათას კაცზე მეტი ესწრებოდა, შემდეგში დამსწრეთა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა.

1975 წელს შეიქმნა უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ცხვარი რაიონის სხვა კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გადაეცა და საერთო სავარგულების ფართობმა 40 ათასი ჰექტარი შეადგინა. ამ დროისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ (იოსებ ხარატიშვილი) სამინისტრომ დააპროექტა უდაბნოს განაშენიანების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 400 ორსართულიანი სახლის (თავისი სათავსოებით, ეზო-ყურეთი და ა.შ.), საბჭოთა მეურნეობის კანტორის, სკოლის, ფოსტა-ბიბლიოთეკის, სასოფლო ამბულატორიის, კულტსახლის, საბავშვო ბაღის მშენებლობას და ა.შ.

„სახმშენის" გაერთიანების თავმჯდომარის თინათინ ქუთათელაძის მიერ შემუშავდა უდაბნოს გასარწყავების (9 ათასი ჰა) პროექტი, რომელშიც ქართველებთან ერთად საბჭოეთის სხვა ქვეყნების სპეციალისტებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ეს იყო ქართული ირიგაციის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და უპრეცენდენტო მშენებლობა. წყალი მდინარე მტკვრიდან რუსთავის მაგისტრალური არხით (8 კმ, სიმაღლე 4, სიგანე 5 მეტრი) მიეწოდება ახალ ხიდ-კაშხალს (სიგრძე 150მ, სიგანე 27მ), საიდანაც გადაქაჩვა 12 კმ გადასარბენით მიეწოდებოდა 9 ათას ჰექტარ ურწყავ მიწებს 4.8 მ3-ის მოცულობით. ამ წყლის I ნაკადი უდაბნომ მიიღო ***1981 წლის 8 ნოემბრის*** კვირა დღეს, რის აღსანიშნავად აღიმართა „სიცოცხლის სვეტი" და მოეწყო გრანდიოზული ზეიმი.მანამდე, ***1980 წელს, 9 ნოემბერს*** ჩატარდა უდაბნოს სასოფლო საბჭოს დეპუტატთა პირველი არჩევნები, 18 ნოემბერს კი I სესიაზე აირჩიეს აღმასკომი და I ისტორიული აღმასკომის თავმჯდომარე ლადო მარხვაშვილი. ამის აღსანიშნავად მოეწყო ასევე გრანდიოზული „გარეჯობის" ტოლფასი ზეიმი, სადაც I თავმჯდომარეს უდაბნოს გათხრებში ნაპოვნი 3500 წლის წინანდელი ტომის ბელადის კვერთხი გადასცა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა კიაზო ფიცხელაურმა.

მოეწყო პირველი იმპროვიზირებული უდაბნოური ქორწილი. ეს წყვილი ავთანდილ ბერმამუკელი და ნელი ბაფხოშვილი გახლდათ.

ამ წელს, უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დაარსების 5 წლის მანძილზე მისმა მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 10 მილიონი მანეთის პროდუქცია.

1981 წლის 1 სექტემბერს სოფელმა უდაბნომ I საშუალო სკოლის გახსნა იზეიმა (I დირექტორი ვალერიან ჯღუთაშვილი) მოგვიანებით დაიწყო მეღორეობის კომპლექსის მშენებლობა 108 ათას სულზე და წარმატებით გრძელდებოდა უდაბნოს განაშენიანების პროექტის განხორციელება.

უდაბნოს ისტორიული მხარის საგარეჯოსა და ამით ქართველობისათვის დაბრუნებისა და მის აღორძინებაზე ზრუნვის მამულიშვილურ საქმესთან ერთად მედეა მეზვრიშვილი იყო რაიონში განხორციელებული ყველა სიახლისა და გარდაქმნების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მის დროს სხვადასხვა წლებში ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები ასევე ისტორიული უჯარმის, მანავის, ნიახურას ციხეებს, აღდგა ცხოვრება მიტოვებულ ზემო ყანდაურაში, აშენდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის ოთხსართულიანი ახალი შენობა საგარეჯოში. საგარეჯოს კულტურის სასახლე, კინოთეატრი, დღევანდელი მერიის ოთხსართულიანი შენობა, საგარეჯოს საჭიდაო დარბაზი სასტუმროთი, სამუსიკო სკოლა, მევენახის სახლი, ბანკის შენობა, საცხოვრებელი ბინები აჭარელი ეკომიგრანტებისა და ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველებისათვის, სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხანა, სკოლები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები, გმირთა მემორიალები და ობელისკები, მ.შ. პატარძეულის გმირთა სავანე. ფაქტიურად, მისი დამსახურებით ყოველ წელს ახალ-ახალი წარმატებები და სიახლეები ინერგებოდა რაიონის ცხოვრებაში. ასე, მაგალითად:

1982 წელს რაიონში მთლიანობაში წარმოებული იყო 62 მილიონ 94 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. მარტო ამ წელს საგარეჯოში აშენდა და მწყობრში ჩადგა საგარეჯოს სავაჭრო ცენტრი, გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზი, კრასნოგორკის მაღაზია, მეცხვარეობის კომპლექსი პატარძეულში, 12 ბინიანი საცხოვრებელი სახლი მანავში, კაკაბეთის სკოლა 400 მოსწავლეზე, გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი, მანავის ღვინის კომბინატის ახალი შენობა, საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების კომბინატი „სამება" და ა.შ.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში ყველა იმ საშვილიშვილო და მამულიშვილურ საქმეთა თავმოყრა და ჩამოთვლა , რაც ამ მართლაც მამულიშვილური ღვაწლით მოსილ ადამიანს აქვს განხორცელებული ჩვენი მხარისა და და მისი მოსახლეობისათვის, საერთო ჯამში კი საქართველოს სადღეგრძელებლად. ამის შესახებ არაერთი წიგნია გამოსული, თუმცა ეს თემა კვლავ ამოუწურავია და კვლავ ელის საკადრისად გამომზეურებას. თავის გამგრძელებელს და გამომმზეურებლებს ელიან განათლებული ქალბატონის წამოწყებული საქმენიც. ნამდვილად მოსაწონი, მისალოცია მუნიციპალიტეტის ახლანდელი თავკაცის გიორგი ერბოწონაშვილის ინიციატივაც, რომელმაც ათეულობით წლის შემდეგ კვლავ აღადგინა „გარეჯობის" სახალხო დღესასწაული და კიდევ ერთხელ შემოაბრუნა საქართველოს მოსახლეობის ყურადღება ამ ჩვენი დიდი ეროვნული საგანძურისადმი.

და ბოლოს, თინა ბეჟიტაშვილის წერილისა (რომელიც №7-შია დაბეჭდილი) არ იყოს, ხომ არ დადგა დრო, რომ ჩვენი კუთხის ამ მოამაგე ადამიანს სათანადო პატივი მიეგოს და რაიმე ფორმით უკვდავყოთ მისი სახელი და დამსახურება.

გივი დაბახიშვილი

სპორტი

ფეხბურთი

მოგებები თბილისის „მერანთან“ და ზუგდიდის „დინამოსთან“

28 აპრილს საგართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის II ლიგაში მონაწილე „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელებმა მორიგი კალენდარული მატჩი საგარეჯოს სტადიონზე თბილისის „მერანის“ ფეხბურთელებთან გამართეს. თბილისელი სტუმრები თამაშის პირველივე წუთებიდან იმის ცდაში იყვნენ, რომ დაელაშქრათ გარეჯელთა კარები. მათ ამ ცდას მალე შედეგი მოჰყვა და პირველ ტაიმშივე შეძლეს ერთი უპასუხო გოლის გატანა.

მეორე ტაიმი პირველისაგან განსხვავებით გარეჯელებმა არა მარტო შეძლეს იმ გოლის გაქვითვა, არამედ კიდევ ორიც მიაყოლეს, რასაც თბილისელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. ისინი ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ, რათა თამაშის ბედი თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ, მსაჯსაც კი მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რასაც მათი მეკარის გაძევება მოჰყვა. 3:2 – ასეთი შედეგით დამთავრდა ეს მატჩი. გოლები გარეჯელთაგან გაიტანეს ნიკა ნოზაძემ (2) და გიორგი ტყეშელაშვილმა.

11 მაისს კი გარეჯელები ისევ საკუთარ მოედანზე ზუგდიდის „დინამოს“ დაუპირისპირდნენ, რასაც საკმაო რაოდენობის მაყურებელი დაესწრო.

თამაში პირველივე წუთებიდან გარეჯელთა შეტევებით დაიწყო, რასაც ხინთიბაძის მიერ 30-ე წუთზე ზუგდიდელთა კარის აღება მოჰყვა. ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში პირველ ტაიმში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმში კარებების შეცვლის შედეგად მზე გარეჯელებს ზურგიდან მოექცა და ერთგვარი უპირატესობა მიიღეს, რაც პირველ ტაიმში მეტოქეს ჰქონდა. ამას დაემატა კარგად ორგანიზებული შეტევები, რომლის დროსაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა კოლუმბიელი ფეხბურთელი სტივენ ბერმუდესი. ამან შედეგიც გამოიღო, უკვე ტაიმის დასაწყისში ჯერ ხინთიბაძემ მეორედ აიღო მეტოქის კარი, შემდეგ კი ნოზაძემ ანგარიში სამამდე გაზარდა. ზუგდიდელები ყველანაირდ შეეცადნენ პრესტიჟის გოლი მაინც გაეტანათ, მაგრამ ვერ შეძლეს და მატჩი 3:0 დასრულდა მასპინძელთა სასარგებლოდ.

საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის V ლიგაში პირველი ფრე საკუთარ სტადიონზე

*ორ წელზე მეტია მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდ „გარეჯი-1960“-თან შექმნილია და ფუნქციონირებს 18-20 წლიანთა დუბლიორი გუნდი „გარეჯი-2“, რომლის მწვრთნელია საგარეჯოელთათვის კარგად ცნობილი **დავით მაისურაძე**. როგორც მასთან საუბარში გავარკვიეთ, „გარეჯი-2“-ში სულ 23 ფეხბურთელია, რომელთა უმეტესობა საგარეჯოელები არიან, 8 ფეხბურთელი სართიჭალელია, სამი – თბილისელი, 2 კი მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებიდანაა. გუნდს ჰყავს 2 მეკარე – სართიჭალელი ხუროშვილი და თბილისელი ახალკაცი, რომელიც ამავდროულად ძირითადი გუნდის მესამე ნომერ მეკარედაა აყვანილი.*

შარშან, 2020 წელს „გარეჯი-2“-ის მოთამაშეები მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის V ლიგის გათამაშებაში, სადაც აღმოსავლეთ საქართველოს ზონაში მოასპარეზე 13 გუნდს შორის შეძლეს მერვე ადგილის დაკავება.

*22 აპრილიდან აღნიშნულ ლიგაში 2021 წლის ჩემპიონატის მატჩები დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, 21 აპრილს მორიგ საწვრთნელ ვარჯიშზე შევხვდით და ვესაუბრეთ **დავით მაისურაძეს**.*

– შარშანდელი ჩემპიონატისაგან განსხვავებით, სადაც V ლიგაში გათამაშება სამ – აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ზონებში მიმდინარეობდა, წელს ცენტრალური ზონა მოიხსნა და დარჩა აღმოსავლეთის და დასავლეთის ზონები, ცენტრალური ზონის გუნდები აღმოსავლეთის ზონას შეუერთდნენ და აქ უკვე 26 გუნდი მონაწილეობს 13-ის ნაცვლად. ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, დიდი იქნება კონკურენცია, მაგრამ, რაც მთავარია, „გარეჯი-2“-ის ფეხბურთელთა მომზადება და განწყობა ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებისათვის ჩინებულია და ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მთელი ძალებით ვინბრძოლებთ, რათა ჩვენს მაყურებლებს ვაჩვენოთ კარგი ფეხბურთი და კარგი შედეგებიც დავდოთ.

და, აი, მომდევნო დღეს, 22 აპრილს „გარეჯი-2“-მა საკუთარ სტადიონზე პირველი მეტოქე თბილისის „კოლხი“ მიიღო. შეხვედრა დღის 1 საათზე დაიწყო. პირველი გოლი სტუმრებმა გაიტანეს, სულ რაღაც 4 წუთში კი გარეჯელებმა თავის საჯარიმოში იუხეშეს და მსაჯმა ავთანდილ კოკაიამ მათ კარში 11 მეტრიანი საჯარიმო დანიშნა, რაც თბილისელებმა უნაკლოდ გამოიყენეს და 2 გოლით დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმში გარეჯელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ თამაშში გარდატეხის შესატანად, თუმცა კარგა ხანს ამ შეტევებს შედეგი არ მოსდევდა. მხოლოდ 75-ე წუთზე ნიკა კუჭუაშვილმა შეძლო პირველი საპასუხო გოლის გატანა, რასაც მალევე მელქაძის მეორე გოლი მოჰყვა. ამის შემდეგ ორივე მხრიდან იყო მეტოქეთა კარის დალაშქვრის მცდელობები, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ მატჩი 2:2 დასრულდა.

„გარეჯი-2“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ახალკაცი (მეკარე), ხუმარაშვილი, ხარხელაური, ჯიჯნჯიხაძე, ხარებავა, კუჭუაშვილი, მელქაძე, ჯანიბეგაშვილი, ჯულუხიძე, კურტანიძე, კონიაშვილი. მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ შაქარაშვილი და ბუზარიაშვილი.

„გარეჯი-1960“ მერვედფინალშია

ახლახანს „გარეჯი-1960“, რომელიც მონაწილეობს საქართველოს თასის გათამაშებაში მეთექვსმეტედფინალში შეხვდა „საბურთალო-2“-ს. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან „გარეჯი-1960“-მა წარმატებით იასპარეზა ამ გათამაშებაში და და ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა თბილისის „ლოკომოტივთან“. გარეჯელებმა არც ამჯერად შეირცხვინეს თავი და მეტოქე დიდი ანგარიშით 5:2 დაამარცხეს და მერვედფინალში გავიდნენ, სადაც მათ თბილისში „დინამო-2“-თან მოუწევთ ასპარეზობა. მატჩი 19 მაისს იყო დანიშნული.

გოლები მეტოქეთა კარში გაიტანეს: ნიკა ნოზაძემ (2), გიორგი ტყეშელაშვილმა (2) და ლაშა ლეჟავამ.

გივი დაგახიშვილი

ქართული ჭიდაობა

ამირან დარბაისელის ბრინჯაო საქართველოს პირველობიდან

23-24 აპრილს ქარელში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ასპარეზობდა საგარეჯოელი ძიუდოისტი, სხვადასხვა ასაკში საქართველოს ჩემპიონი, პრიზიორი და ევროპის პრიზიორი **ამირან დარბაისელი.** ჩვენებური ფალავანი ამ შეჯიბრებაში 60 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და შეძლო ნახევარფინალში გასვლა, მაგრამ დამარცხდა ჭიდაობა სამბოში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ ვახტანგ ჩიდრაშვილთან და მესამე ადგილს და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

გივი დაგახიშვილი

ინფრასტრუქტურა _ 2021

მოწესრიგდა საავტომობილო გზა

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზაზე, სასადილო-გომბორის 27-ე - 30- კმ მონაკვეთზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაზიანებული და დეფორმირებული ადგილების შეკეთების სამუშაოები განხორციელდა.

საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის საავტომობილო გზის 15 კმ-მდე მონაკვეთს რეაბილიტაცია უტარდება

სარეაბილიტაციო მონაკვეთი კახეთის რეგიონში, კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. იწყება საგარეჯოდან 12 კმ-ში და სოფელ უდაბნოს ტერიტორიაზე სრულდება

პროექტის ფარგლებში, დაზიანებული გზა სრულად რეაბილიტირდება, ჩატარდება მიწის სამუშაოები, მოეწყობა გზის საფუძველი, დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, შეკეთდება და მოეწყობა ახალი ხელოვნური ნაგებობები. ასევე, შემოიფარგლება გზის სავალი ნაწილი და დამონტაჟდება საგზაო ნიშნები

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6.4 მილიონი ლარით ფინანსდება. სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება

დამატებით დაგეგმილია 3 კმ-ი გზის მოასფალტება, რაც უკვე სრულად მოაწესრიგებს დავით გარეჯამდე მისასვლელ გზას

2020 წელს დასრულდა საგარეჯო-უდაბნო-დავით გარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის 13.4 კმ-იანი მონაკვეთის (კმ36-კმ49) რეაბილიტაცია. რეაბილიტირებული მონაკვეთი, სოფელ უდაბნოს ტერიტორიაზე იწყება და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან სრულდება.

გახსენება

დავით მეკოკიშვილი

26 წელი გავიდა გარდაცვალებიდან და 76 წელი მეორე სამამულო ომის დასრულებიდან. ორივე თარიღი სამწუხაროა ჩვენთვის, იმიტომ რომ ორივე პერიოდის მონაწილეც ხარ და უკვე წასულიც, თუმცა სავსე უამრავი მოგონებით და საამაყო ისტორიით. 9 მაისი ეს არის თარიღი, რომელსაც თვალცრემლიანი, თუმცა დიდი სიხარულით ყოველთვის ელოდებოდი, რადგან გქონდა უამრავი მოგონება და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ამბები მოსაყოლი შენი შვილებისათვის, შვილიშვილებისათვის. მუდამ ფიქრობდი მშვიდობაზე და ბედნიერ ცხოვრებაზე , რათა აღარ განმეორებულიყო, ომი, ტკივილი და ის დიდი უბედურება, რომელიც საკუთარ თავზე გამოსცადე ომის ქარცეცხლგამოვლილმა. ბუდაპეშტი, უკრაინა, ვენის, ხომბატელის, კაპუვარის და კოსეგის გათავისუფლება, ეს მცირე ჩამონათვალია იმ ბრძოლებისა, რომლის უშუალო მონაწილეც ხარ. უმაღლესი მთავარსარდლის 7 მადლობა, უამრავი მედალი და შინ დაბრუნება, სადაც ღირსეული კვალი უნდა დაგეტოვებინა, რათა ყოფილიყავი ბოლომდე საუკეთესო მაგალითი შენი შთამომავლებისათვის. შენი ცხოვრება სავსეა უამრავი კეთილი საქმით. ყველა ღირსეული ადამიანი გულმართალი კაცის სახელით გიცნობს და პატივისცემით გიხსენებს, არ ავიწყდებათ შენი მოკრძალებული ცხოვრება, სწორი და კეთილსინდისიერი ნაბიჯით სავსე. შენ არა მარტო ჩვენი ოჯახის სიამაყე ხარ, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი შინაარსიანი ფურცელის ნაწილი. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ყოველთვის მოგიგონებთ სიამაყით, როგორც ღირსეულ ადამიანს, რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა ყველგან და ყველას წინაშე. ჩვენ კი გვჯერა, ზეციური საქართველოდან გვლოცავ და თვალს ადევნებ ჩვენს ცალკეულ ნაბიჯს. იძინე მშვიდად და გჯეროდეს, შენი შთამომავლობა არასოდეს დაგივიწყებს. ყოველთვის იამაყებს იმ წარსულით, რომელშიც ღირსეულად იცხოვრე.

პატივისცემით, შენი ოჯახისაგან.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსს ხათუნა ყორღანაშვილს დედის

მარიამ (მარგო) არავიაშვილი-ყორღანაშვილის

გარდაცვალების გამო.

თინა ილაური, დალი როსტომაშვილი, დალი გუსარიშვილი, ციალა დარისპანაშვილი, ელენე სამხთუაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ყორღანაშვილს დედის

მარიამ (მარგო) არავიაშვილი-ყორღანაშვილის

გარდაცვალების გამო.

სანდრო ერბოწონაშვილი, თინა ილაური, დალი როსტომაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დალი გუსარიშვილს ძმის

თემურ გეროლტის ძე გუსარიშვილის

გარდაცვალების გამო.

12 მაისი – ექთნების საერთაშორისო დღე

12 მაისს ექთნების საერთაშორისო დღე აღინიშნა. ეს ის პროფესიაა, რომელიც დიდ ნებისყოფას, შრომას, პასუხისმგებლობას მოითხოვს, მაბრამ... თითქოსდა უჩინარი, შეუმჩნეველიცაა. რამდენი ექთანი შეგვხვედრია, ექიმის დანიშნულებაში შეუსაბამობა შეუნიშნავს და სხვათაბან თვალმორიდებით ისე გამოუსწორებია, თავად ექიმსაც არაფერი გაუგია. დიახ, მათი შრომა იმდენად საპასუხისმგებლოა, რამდენადაც ადამიანის სიცოცხლისათვის ბრძოლაა მნიშვნელოვანი. მათ მახვილ თვალს არაფერი ეპარება, არასოდეს აგვიანებენ, არასოდეს არიან გულგრილები... საგარეჯოს ჯანდაცვის მატიანეს რამდენი შესანიშნავი ექთანი ახსოვს, რამდენი ოცნებობდა მათ ადგილას ყოფნას მაშინ, როცა სიკვდილზე იმარჯვებდა სიცოცხლე. დღესაც მრავლად არიან, მართლაც რომ ზედმიწევნით სრულად, ზუსტად ასრულებენ თავიანთზე დაკისრებულ მოვალეობას. დღეს, როცა მსოფლიო „covid-19“-ის პანდემიითაა დაზაფრული, როცა ოჯახის წევრები ერთმანეთს თითქოს გაურბიან, როცა მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებს, მათ თავიანთი ჯანმრთელობაც ავიწყდებათ და ოჯახის წევრებზე ყოველდღიური ზრუნვაც. ისინი ექიმებთან ერთად და იძნებ მეტადაც, ფრონტზე არიან, უხილავი, მაბრამ მსახვრალი მტრის წინააღმდეგ.

გულითადად ვულოცავთ ექთნის საერთაშორისო დღეს მოძმედ ექთნებს, პენსიაზე მყოფებს და მათ, ვინც ახლა იდგამს ფეხს, ვინც ახლა სხვათა ნაკვალევს ღირსეულად მიჰყვება. ჯანმრთელობას, სულის სიმტკიცეს, დღევანდელი ფრონტის ხაზზე მედგრად ყოფნას ვუსურვებთ.

პროფესიის სიყვარულით

ნახევარ საუკუნეზე მეტი

საგარეჯოელმა ნაზი დევდარიანმა საგარეჯოს რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ საგარეჯოში არსებული საექთნო კურსები დაამთავრა და ექთნის საგზურით მუშაობა საგარეჯოს საავადმყოფოში დაიწყო. საგარეჯოს ჯანდაცვის მაშინდელმა უფროსმა სოსო ჯაბადარმა ახალგაზრდა კადრს მეტი დაოსტატება შესთავაზა, მაშინ რაიონებში ფიზიოთერაპიის კაბინეტი ახლად იხსნებოდა, სადაც ერთ ადამიანს უნდა შეესრულებინა საკმაოდ საპასუხისმგებლო პროცედურები. თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ორწლიანი სწავლის შემდეგ იგი უბრუნდება მშობლიურ საავადმყოფოს და იწყებს სრულიად ახალი პროფესიით მუშაობას. 19 წლის ახალგაზრდა გოგონას, რომელსაც 21 აპარატი ებარა და ექიმის გარეშე უნდა ჩაეტარებინა პაციენტებისათვის სამკურნალო ფიზიომასაჟები, სამკურნალო მასაჟები და „ვანები“, მართლაც უნდობლად უყურებდნენ. მაგრამ, მალე დარწმუნდნენ მის პროფესიონალიზმში და შედეგების საოცრად წარმატებული ჰქონდა. წლები წლებს მიჰყვა, ყოველ წელიწადს გამოცდებს წარჩინებით აბარებდა და მადლიერი პაციენტებიც წლების განმავლობაში მხოლოდ მის პროფესიონალიზმს ანდობდნენ საკუთარ ჯანმრთელობას. 55 წელი ემსახურა **ნაზი დევდარიანი** საგარეჯოს და არა მარტო საგარეჯოს რაიონის მოსახლეობას რაისაავადმყოფოს კედლებში. ახლა კი 15 წელია სახლშია არც სახლში ასვენებენ ყოფილი პაციენტები თუ მათი ოჯახის წევრები, ისიც ცდილობს საშინაო საქმიდან ხელი აიღოს და ღვთისგან დალოცვილი ხელებით კვლავ თავისი პროფესიის ერთგულად დარჩეს, სხვანაირად კი შეუძლია მოქცევა მედიცინის მუშაკს?!

სულ ახლახანს ქ-ნ ნაზის 88 წლის იუბილე აღნიშნეს შვილებმა. მათ, ვისაც კარგად ახსოვს, როგორი ენთუზიაზმით, შემართებით, მაღალი პასუხისმგებლობითა და უდიდესი ნებისყოფით ემსახურებოდა მშობლიურ რაიონს და თან სამ შვილს – მაიას, ვაჟას, დათოს ყველასგან დაუხმარებლად ზრდიდა, ამასთან მეუღლესაც,– გურამ ჯავახიშვილსაც, არანაკლებ საპასუხისმგებლო პოსტზე მყოფს– საგარეჯოს სატყეო მეურნეობის მთავარ ინჟინერს ხელს უწყობდა თავის საქმიანობაში.

ქ-ნო ნაზი, გილოცავთ ექთნის საერთაშორისო დღეს და პროფესიული საქმიანობის კვლავაც შემართებით და დაუღალავად გაგრძელებას გისურვებთ.

ვალმოხდილი, სიყვარულდამსახურებული

ქალბატონი ცეზარ ფხალაძე - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დამსახურებული მედდაა, რომელმაც 40 წელი გაატარა საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში...

დაიბადა 1942 წელს სოფელ ყანდაურაში, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში.

სამწლიანი კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, 1960 წელს მუშაობა დაიწყო საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში ექთნად. მას შემდეგ 2000 წლამდე ერთგულად და დაუღალავად ემსახურა საყვარელ საქმეს.

ექთნის პროფესიასთან ერთად ქ-ნ ცეზარის მსახიობობის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდა, გარეჯელ მსახიობებთან ერთად ამშვენებდა საგარეჯოს თეატრის სცენას.

საგარეჯოს სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ერთ-ერთი შერჩევის დროს ქალბატონი ცეზარი ეკატერინე ჭავჭავაძის როლზე დაამტკიცა. მან შესანიშნავად მოირგო ეს როლი და 2 წლის მანძილზე მოუწია სცენაზე დგომა. თუმცა მიუხედავად არაერთი შემოთავაზებისა, საბოლოო არჩევანი ძირითად პროფესიაზე გააკეთა და მედდის მუდმივი როლი ირჩია, ოჯახიც შექმნა საგარეჯოელ გივი ილაურთან, სიყვარულით ზრდიდნენ შვილებს თამარსა და გაბრიელს, მაგრამ ყოველი პაციენტი ცეზარის შვილი, შემდეგ კი შვილიშვილი იყო პალატაშიც და პალატის გარეთაც.

ქ-ნი ცეზარის საოცარი სითბო, ყურადღება, ალერსიანი მოპყრობა ბევრზე ბევრ ბავშვს უადვილებდა ნემსებთან შეგუებას, ყოველთვის იყო მარჯვენა ხელი ექიმ-პედიატრებ მარო ჟორდანიასი, ეთერ მღებრიშვილის, მარინა ილაურის, ცისანა გიორგაძის, ნანა რევაზიშვილის, თინა ქარსაულიძის, თამილა დათუნაშვილის, დათო ლალიაშვილის, ნანა კურდღელაშვილის და სხვა. დიახ, ეიმედებოდათ, რადგან ცეზარი უპასუხისმგებლოდ არასოდეს მოეპყრობოდა თავის პოსტს.

ასე, მომავალი თაობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე რამდენიმე ათეული წელი, თეთრ ხალათში...

ახლა უკვე ბებიაა 4 შვილიშვილის, 6 შვილთაშვილის და დიდი ოჯახის დიასახლისი...

ქეთი გრატიაშვილი

ყველაზე ახალგაზრდა

„ვფიქრობ, არჩევანი არ შემშლია“

თაკო ექვთიმიშვილმა 2012 წელს დაამთავრა სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა, ამავე წელს ჩააბარა ილია ჭავჭავაძის სახელობის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ექთნის დამხმარის ფაკულტეტზე, ამის შემდგომ დაამთავრა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“, პროფესიით პრაქტიკოსი ექთანი.

სამედიცინო საქმიანობა დაიწყო 2014 წელს საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსში“, როდესაც პირველად გამოცხადდა კლინიკაში პრაქტიკაზე, ეს ემოცია ალბათ, მთელი ცხოვრება ემახსოვრება. აღელვებული იყო, რადგან იცოდა, ადამიანებს უნდა დახმარებოდა, მათი გასაჭირი, ტკივილი, სიხარული მათთან ერთად უნდა გაეზიარებინა, – „მთელი გულით და გონებით ვიყავი ამისათვის მზად. რა თქმა უნდა რთულიც იყო, შიშის გრძნობაც ხშირად მეუფლებოდა მძიმე პაციენტის შემოყვანის დროს, როდესაც წამებში მყისიერად უნდა დაეხმარო. ემოციურად რთული იყო, თუმცა მაინც შემართებით ვედექი ექიმს გვერდით. ვიმუშავე ექთნის დამხმარედ თითქმის ყველა განყოფილებაში, ეს გზა დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში. ახლა ვმუშაობ ნეონატოლოგიურ განყოფილებაში, ექთნის პოზიციაზე .ჩემი პროფესია ჩემი ცხოვრებაა, ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, დღეს იქ ვარ, სადაც უნდა ვყოფილიყავი“– ამბობს თაკო.

და ყველაზე მეტად რასაც ნატრობს, ეს პანდემიის დამარცხებაა: – პანდემიასთან ბრძოლის პერიოდში ვუსურვებ სრულიად საქართველოს ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს“.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური